რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 23 დეკემბერი 1917 წ.

# ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივად ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Редакція „Эртоба". რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 224 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 224

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისათვის

უოველ დღიურ გაზეთ

„ერთობა"-ზე

ხელის მოწერის პირობები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთი თვით | — 4 მან. 50 კაპ. | ექვსი თვით | — 27 მანეთი |
| ორი თვით | — 9 მანეთი | ერთი წლით | — 50 მანეთი |
| სამი თვით | — 13 მან. 50 კაპ. | ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. | |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უთუოდ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ გვაიძულა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА".

ამხანაგებს და თანამგრძნობთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დააყოვნებენ.

ბულ-დაწყვეტილი ამხანაგები: სევერიანე ვადაჭკორია, ხარიტონ და ვასილ მახარაძეები, ლიუდმილა იესეს ასული მგალობლიშვილი, სევერიანე ქანქაძე, ივანე გვარჯალაძე და ამბერკი ვადაჭკორია ღრმად მწუხარებას გამოსთქვამენ ძვირფასი ამხანაგის

ზაქარია თავაძის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო.

(ეს განცხადება გუშინ დაიბეჭდა და შიგ სამწუხაროთ შეცდომით თავაძის მაგიერ იყო აღნიშნული ვადაჭკორია, რისთვისაც ხელმეორეთ იბეჭდება).

ქ. თფილისის უსაქმოდ დარჩენილ მუშების საყურადღებოთ.

ქალაქის შრომის ბირჟაში შემოდის მოთხოვნილება სხვადასხვა დარგის მუშათა საჭიროებაზე.

შრომის ბირჟა

წინადადებას აძლევს ყველა ადგილობრივ

უსაქმოდ დარჩენილ მუშებს

ჩაეწერონ ბირჟაში.

ბირჟა ღიაა ყოველ დღე (გარდა კვირა უქმე დღეებისა) დილის 10 ს. დღის 3 საათ. ბირჟა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ზუბალოვის სახლში № 11, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. 3—2

## განცხადება.

თფილისის ქალაქის თვითმართველობა ამით აცხადებს ყველა იმ პირთა საყურადღებოთ, რომ ვისაც რეკვიზიციით ჩამორთმეული აქვთ ბინები სამხედრო მოსამსახურეთათვის,—ქალაქის სამმართველო მოუწოდებს—შემოიტანონ განცხადება ქალაქის სამმართველოში.

3—1 თფილისის ქალაქის თვითმართველობა.

## ქალაქის თვითმმართველობისაგან

ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებების საყურადღებოთ

ყველა სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებამ, ქალაქის სამმართველოს დადგენილებით, უნდა წარუდგინონ, 1918 წ. 5 იანვრამდი ქალაქის სამმართველოს ბინათა განყოფილებას, ცნობა—მათ მიერ დაჭერილ ოთახების რაოდენობისა.

3—1 თფილისის ქალაქის თვითმართველობა.

ქალაქის თვითმმართველობისაგან

## ქალაქ თფილისის მცხოვრებთ

ვინაიდან ბინის საკითხი, რაც დრო გადის მით უფრო მეტად მწვავდება, ქალაქის თვითმართველობა თანახმად ქალაქის საბჭოს დადგენილებისა, შეუდგება ბინების რეკვიზიციას. საბჭოსაგან დამტკიცებულია შემდეგი წესი რეკვიზიციისა:

1) თითო მდგმურზედ უნდა ირიცხებოდეს არა უმეტეს ერთი ოთახისა. მოსამსახურე, თუ სცხოვრობს სამზარეულოში ან მოსამსახურეთა ოთახში, მდგმურთა რიცხვში არ შედის. ბავშვებისათვის (12 წლამდის) ორიოლ სულზედ ირიცხება თითო ოთახი. დანარჩენი ოთახები, თუ ამ ნორმას აღემატება, ჩამორთმეულ იქმნება რეკვიზიციით, იმ გამონაკლისით, რომელიც აღნიშნული არის მე-2 და მე-3 მუხლებში.

2) რეკვიზიციით არ ჩამოერთმევა ის ოთახები, რომლებიც დაჭერილნი არიან რაიმე პროფესიონალური საჭიროებისათვის, და, რომელთა ჩამორთმევაც გამოიწვევს პროფესიის მუშაობის შეჩერებას.

3) თუ ოთახები ისეა მოწყობილი, რომ ერთი ოთახის ჩამორთმევა გამოიწვევს დანარჩენ ოთახების მოხმარების გაუქმებას—ასეთები არ იქმნება რეკვიზიციის ძალით ჩამორთმეული.

4) იმ პირებს, რომლებსაც ჩამოერთმევა ერთი ან რამდენიმე ოთახი, ეძლევათ სათანადო უწყებებით.

ვინც მისცემს ცრუ ცნობებს, მიცემულ იქმნება პასუხისგებაში სისხლის სამართლის წინაშე.

თფ. ქალაქის თვითმმართველობა.

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევიჩამ

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

## კბილის საექიმო

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა დაარსებული

## გ. ზაიკინა-შინკარევის

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.

ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ დღისით და ღამით.

დამით მორიგეობა ექიმებისა.

სახალხო განათლების კომისარის

## კაბინეტი და კანცელარია

მოთავსებულია პეტრე-დიდის ქუჩა, № 8.

ტელეფონი 16—37.

ნახვა შეიძლება დღის 12 ნ. ს.—2 ნ. ს. საათ.

ექიმი

## ნ. პ. რუხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა კვირა დღეებისა, საღამოს 6 დან 8 საათამდე. მიხეილის პრ. № 78; ბინ. 2.

ექიმი

## დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის. გუნიბის ქ. № 41.

სახალხო სახლი.

სახ. სახ. არს. ქართვ. წარ. მმარ. წრის მიერ

ოთხშაბათს, 27 დეკემბერს, წარმოდგ. იქნება

ჭრის ფონდის სასარგებლოთ

მეორეთ ქართულ სცენაზე

## ლ ა ქ ი ა

ტრ.-კ. 3 მ. ნაროდინისა თარ. ხახანაშვილისა.

2.

## ჭკუისა მჭირს

კომ. 1 მოქ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: თ. გოგოლაშვილი, ელ. იანქოშვილი, ნ. ნინოძე, ნ. თოიძე, ს. რომანიშვილი-ლეჟავასა, ბ. ბ. ნ. გოცირიძე, ი. მინდიაშვილი ა. მეტრეველი, ა. კაციაშვილი, ა. თავდგირიძე, ნ. ჭანკვეტაძე და მამაჯანოვი.

ადგილების ფასი 4 მან. დან 70 კაპ.-დე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 2 იანვარს

რეჟისორი ქ. შათირიშვილი.

მედიცინის დოქტორი

## გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ფილტვისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სადიოლოდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფებისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. ბებუთოვის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

## ზ ა ვ ი

ლენინ-ტროცკის „მთავრობამ" დღიდან თავის გაბატონებისა მიზნათ დაისახა დემოკრატიული ზავის განხორციელება. დემოკრატიულ ზავის ფორმაც 14 მარტის მანიფესტში ასე იყო გამოხატული: ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე. სწორეთ ეს თვითგამორკვევა ერების არის მთავარი ძარღვი ერთა თავისუფლების, კაპიტალისტების იმპერიალისტურ მადის ალაგმვის, ვინაიდან იგი უარყოფს მცირე ერების დამორჩილებას დიდისაგან, სუსტის დაჩაგვრას და გაყვლეფას ძლიერი ერის ბურჟუაზიისაგან.

დღეს პრაპ. კრილენკომ დეპეშით ამცნო ქვეყანას: დემოკრატიულ ზავს დაეთანხმენ გერმანელებიო, მართლა ასეა საქმე?

სრულიადაც არა. თვით კრილენკოს დეპეშა ამბობს, „გერმანელები თანახმა არიან უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის—თუ ამას მიიღებენ ევროპის ყველა მებრძოლი სახელმწიფოები".

ერთა თვითგამორკვევის პრინციპი აქ სრულიად უარყოფილია. წვრილ ერების ბედი მივიწყებულია. და ამ მხრივ ერთიანათ გაბრუდებულია პრინციპი რევოლიუციის, პრინციპი საერთაშორისო დემოკრატიის.

მიუხედავათ ამისა ზავის მოახლოვება მაინც დიდი და სასარგებლო იქნება, თუ ის პირობები მაინც განხორციელდა, რომელიც გერმანიის პასუხშია ნათქვამი, მარა პასუხი გერმანიის ამ მხრივაც სათუოა. ფილდეოლის მთავრობა თანახმაა უკონტრიბუციო და უანექსიო ზავი მიიღოს, თუ დანარჩენი სახელმწიფოებიც ამ აზრს მიემხრობიან. მარა თუ არ მიემხრენ? მაშინ ხომ შეიძლება ეს ზავის პირობებიც შეიცვალოს. ამას გრძნობს თვით პრაპ. კრილენკოც და ამიტომ აცხადებს: ჯ.-კაცებო, ფრონტზე თქვენს ენერგიასა და სიმტკიცეზეა დამოკიდებული ზავის განხორციელებაო.

დღემდე ასეთი მოწოდება,რომ ჯარი ფრონტზე მაგრათ მდგარიყო, რომ მ თ ძალა ეჩვენებიათ მტრისათვის, ვინაიდან ზავზე მოლაპარაკების დროს მოწინააღმდეგე სახელმწიფოები ანგარიშს უწევენ მხოლოდ ძალას და არა რევოლიუციურ სიტყვებს, ბოლშევიკების მიერ კონტრ-რევოლიუციონერობათ და ოპორტუნიზმათ, მილიტარიზმათ იყო აღიარებული. დღეს თვით ბოლშევიკებიც ცნობენ ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, მაგრამ იქვე აქარწყლებენ ამის მთელ ძალას და მოქმედებას. თვით იდეა ზავის ბოლშევიკებს სურთ თავისს ფრაქციულ მიზნების სასამსახუროთ გამოიყენონ, ამიტომ პრაპ. კრილენკო იქვე უბრძანებს ჯარს დაუყონებლივ მიმართონ იარაღი კალედინის და უკრაინის წინააღმდეგ, პირველს აბრალებს ზავის მტრობას, ხოლო მეორეს პირველის თანაგრძნობას. უკრაინის რადა, ისე როგორც ამიერ-კავკასიის დემოკრატია მომხრეა იმ ფორმულის, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა და, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ და ისიც პირობითად ხორციელდება დღეს ბოლშევიკებისაგან. საქმის ინტერესი ზავის ჩამოგდებას მოითხოვდა ყველა იმ დემოკრატიულ პარტიებზე და ჯგუფებზე დაყრდნობას, რომელნიც ასეთ ზავის მომხრე არიან. ეს ინტერესი თვით კრილენკოს სიტყვით მოითხოვს, რომ ჯარმა ფრონტი გაამაგროს. მარა, როგორ შეიძლებს ამას ჯარი, თუ იგი ახალ შინაურ ფრონტს გაიჩენს და გერმანიის მაგიერ უკრაინელებს დაუშენს ზარბაზნებს, ე. ი. ზავის მომხრე დემოკრატიის ერთმანეთს გადაეტინებს? ცხადია, აქ კრილენკო ფრაქციული კაპიტალის შეძენას თვით ზავის ინტერესებზე მაღლა აყენებს.

შემდეგ კრილენკო ამაყათ აცხადებს, რომ რუსეთის რევოლიუცია თავის მოთხოვნილებებს სავსებით დაიცავსო.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ მან ერთი უმთავრესი მოთხოვნილება რევოლიუციის უკვე ქარს გაატანა. მეორე ძირითადი მოთხოვნილებაც მუშათა კლასის—სოლიდარული მოქმედება ევროპის დემოკრატიის, ყველა ერის მუშათა კლასის ზავის საკითხში ბოლშევიკებმა შეუძლებლათ გახადეს.

ომი დაიწყო მეფეებმა, უნდა დაამთავრონ ხალხებმა, დემოკრატიამ. ასე შესძახა ომის პირველ დღესვე ჩვენმა დეპუტატებმა მეოთხე სახელმწიფო დუმაში. ეს თხოულობდა ევროპის დემოკრატიასთან მოლაპარაკებას. ლენინ ტროცკის „მთავრობა" კი ისწრაფვის ევროპის იმპერიალისტებს ეწეროს და არა ევროპის დემოკრატიას ელაპარაკოს. იგინი ზავს კრავენ ევროპის მთავრობებთან ერთად და არა დემოკრატიასთან. ახლაც, როცა ზავში მოკავშირე სახელმწიფოთა ჩარევაა საჭირო, პრაპ. კრილენკო საქმით დროთ აცხადებს ათი დღის ვადას. შეიძლება მთავრობებისთვის ეს ვადა საკმაო იყოს, მარა ევროპის დემოკრატიას კი ამით საშუალება ერთმევა თავის მხრივ რაიმე გავლენა იქონიოს ზავის საკითხზე. ამ მხრით კრილენკო ევროპის კაპიტალისტების პოზიციას აძლიერებს და მუშათა პოზიციას ასუსტებს. ესაა ლამაზი ინტერნაციონალიზმი. ესაა რუსეთის დემოკრატიის გამოთიშვა და მისი ევროპის ყაჩაღ-იმპერიალისტებთან დაყენება. სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიის მთავრობა, ერთი ხელით კრილენკოს ეამბორება, მეორე ხელით კი იმავე დროს დამოუკიდებელ სოციალისტებს, გერმანიაში ზავისთვის მებრძოლ ჩვენს ამხანაგებს ციხეში ატუსაღებს. კრილენკო ამაყათ აცხადებს, რევოლიუციონურ რუსეთს ვერავინ გაუბედავს იოლად ხელის წამოკვრასო. არ ვიცი, გრძნობს თუ არა ეს „გმირი", რომ მისი და ჩვენი თანამოაზრეების დამპყრობლებთან, სოციალისტების ნამდვილ ჯალათებთან ჯდომით იგი მონაწილე ხდება ამ იმპერიალისტთა ავაზაკური მოქმედების?

გერმანიის იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა კარგათ იციან, რას სჩადიან. მათი არსებითი, მთავარი მიზანი, როგორც არა ერთხელ გამოუთქვამს კ. კაუცკის ამ ომის დროს, იყო არა ახალ ტერიტორიების შემატება, რაიც გერმანიას კიდეც დაასუსტებდა, არამედ ეკონომიური გავლენის მოპოვება მეზობელ ქვეყნებზე და ასე თავის იმპერიალისტურ გაუმაძღრობის დაკმაყოფილება.

ცხადია, გერმანიას აინტერესებს არა რუსეთის ტერიტორიის შემატება, არამედ რუსეთის ბაზრის დაპყრობა, მისი თავის გავლენის ქვეშ დაყენება. ბოლშევიკების მოქმედება, მათი ანტიდემოკრატიული ნაბიჯები კი შეიძლება მათდა უნებურადაც სწორეთ ასეთ მიზანს ემსახურება.

და რომ ეს სახიფათო შედეგები არ მოჰყვეს ამ ზავს, რომ რუსეთი ეკონომიურათ მონა არ შეიქნეს გერმანიის კაპიტალისტების, რომ მილიუკოვის ნაცვლად არ მივიღოთ ბატონობა გინდენბურგის ხიშტის და კრუპის მილიარდების, რომ რუსეთი არ გადაიქცეს გერმანიის ახალშენათ და საექსპლოატაციო საგნათ—საჭიროა მთელი დემოკრატიის შეერთება. საჭიროა ყველა დემოკრატიული ძალების ამ მხრით მიმართვა, საჭიროა დამფუძნებელი კრების დაუყოვნებლივ მოწვევა, როგორც უფლება მოსილ და ყველაზე უფრო კომპეტენტიურ დაწესებულების, რომელიც მთელი ხალხის სახელით იმოქმედებს და ამით აგვაცდენს თავიდან მოსალოდნელ მონობის უღელს.

ზავის საქმე მხოლოდ დაწყებულია. მისი დემოკრატიის სასარგებლოთ დაგვირგვინება მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლია.

## რამ მოხდა, რომ ბოლშევიკმა ფ. მ. ვერ გაიგო მიწის დეკრეტის შინაარსი?

მგონი რომაელები ამბობდნენ: ღმერთი ვისაც გაუწყრება, ჭკუას წაართმევსო. ბოლშევიკების მწერალს ფ. მ.-საც ალბათ გონება დაეკარგა, თორემ ამიერ-კავკასიის კომისარიატის მიერ გამოცემული დებულება მიწის შესახებ არც ისე რთული და ძნელი გასაგებია. კითხვას არსებითად შევეხებოდით, უნდა აღვნიშნოთ ერთი წვრილმანი, მაგრამ დამახასიათებელი გარემოება. ჩვენ ვიცით, რომ ამიერ-კავკასიაში რუსი გლეხ-კაცობა არ არის და ამიტომ დებულება მიწის შესახებ აინტერესებს არა რუსებს, არამედ ქართველ-სომეხ თათრის გლეხობას. ფ. მ. კი რუსულ ენაზე სწერს თავის წერილს იმ იმედით, რომ მას ჯარისკაცები წაიკითხავენ. ალბათ ამით აიხსნება დასახელებულ დეკრეტის დამახინჯება და შესაძლებელია ჩვენი წერილის თავში მოყვანილი მოსაზრება გონების დაკარგვის შესახებ არც კი იყოს სწორი. მაგრამ უგუნურობით დამახინჯა ფ. მ. დეკრეტის შინაარსი თუ უზნეობით მოუვიდა ეს საქმისთვის სულ ერთია.

ჩამოვთვალოთ სათითაოთ—რა წუნს სდებს ფ. მ. დეკრეტს და შევადაროთ თვითონ დეკრეტის ტექსტს.

ნაკლი პირველი. ფ. მ. ძალიან სწუხს იმის გამო, რომ დებულებიდან არ ჩანს უფასოთ ჩამოერთმევათ მემამულეებს მიწები თუ გამოსყიდვის შემწეობითო. სხვა რიგიანი ადამიანი, როცა დაწერილს ვერ გაიგებდა, ვინმე მცოდნეს შეეკითხებოდა და ახსნა-განმარტებას სთხოვდა. ფ. მ. სხვა გზა გამონახა; ის თავის უცოდინარობისთვის სხვებს აცვამს ჯვარს: „დებულების შემდგენნი გეგეჭკორის და კომპანიის მეთაურობით მემამულეებზე და მსხვილ მიწათმფლობელებზე მეტს ზრუნავდნენ, ვინემ საწყალ გლეხობაზეო. გეგეჭკორს, ნერუჩევს და კომპანიას ხალხის მოტყუება უნდოდათ".

ბ ნ ფ. მ. უნდა მოვახსენოთ უწინარეს ყოვლისა, რომ როცა ის კომისარიატს და გეგეჭკორს მატყუარებს უწოდებს, მას მისამართი ეშლება: მიწის დებულება შეიმუშავა გლეხთა ცენტრმა და არა კომისარიატმა. არსებითათ ფ. მ. ბრალდება მისი მოშლილი აზროვნობის ნაყოფია. დებულებაში არ სწერია სიტყვა „გამოუსყიდველათ", რადგან დღეს ყველამ იცის, რომ არც ერთს ცოტათ თუ ბევრათ ჭკუიანს ადამიანს არ შეუძლია იმის თქმა— მიწა მემამულეებისაგან უნდა გამოსყიდულ იქნასო. ბ ნს ფ. მ. რომ წაკითხულის გაგება შეეძლოს, ის ყურადღებას მიაქცევდა დებულების მე-3 მუხლს, რომელიც ამბობს: „1918

წლის 1 იანვრიდან ისპობა მიწების გამოსასყიდი გადასახადი, რომელსაც ყოფილი დროებით ვალდებული გლეხები იხდიდენ“.

წუნი მეორე. ფ. მ. მოყავს დებულების მე 1-ლი და სიხარულით ცას ეწევა: ეს სწორეთ იმას ნიშნავს, რომ კერძო მესაკუთრეთა მიწები, რომელიც ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს შეადგენს, ხელუხლებელი რჩება, და ბ-ნ კონტრ-რევოლიუციონერ მემამულეებს შეუძლიათ დამშვიდებით იყვენ, ვერავინ ვერ გაბედავს მათს მიწებს შეეხოსო“. ჩვენ არ გვესმის საიდან მოჩმახა ასეთი დასკვნა ფ. მ.

დებულებით მიწები უნდა ჩამოერთვას მემამულეებს და გადაეცეს სამაზრო მამულთა კომიტეტებს. ნუ თუ ეს კერძო მემამულეების მიწების ხელშეუხლებლათ დატოვებას ნიშნავს. საიდან გამოიყვანა ფ. მ. დასკვნა—ბატონ-ყმური წყობილება ისევ დარჩებაო. იქნებ მას გონია, რომ სამაზრო მამულთა კომიტეტები შემოიღებენ ბატონ-ყმობას? ჩვენ ვიცით რა აწუხებს ბ-ნ ფ. მ. მას არ მოსწონს, რომ კომისარიატი ხელუხლებლათ სტოვებს საკუთრებას მიწაზე. ის სწერს: „ამიერ კავკასიის კომისარიატის დებულება ხელუხლებლათ სტოვებს კერძო საკუთრებას, ის იოტის ოდენათაც არ არყევს ბურჟუაზიულ წყობილების ამ „წმინდა“, ფუძეებსაო“.

აი სად ყოფილა თურმე ძაღლი დამარხული. ბოლშევიკი ფ. მ. მოითხოვს მიწის საკუთრების გაუქმებას.

კეთილ ინებოს ფ. მ. და გლეხს უთხრას მიწას ჩამოგართმევთო!

ფ. მ. ან მისი ამხანაგები მახლობელ ნომერშივე გადაფარცევენ ამას, იტყვიან—როდის ვთქვით ჩვენ ყველას ჩამოერთვას მიწებიო. თქმა და გადათქმა მათი ხელობაა!

წუნი მესამე. ფ. მ. აღშფოთებულია რატომ ხალხს არ გადაეცათ მიწა, რა საჭიროა, ან როგორი შემადგენლობის იქნება სამაზრო-მამულთა კომიტეტებიო. ვუპასუხებთ: ხალხი აირჩევს და როგორს აირჩევს, ეს ჩვენ არ ვიცით: შესაძლოა ხალხმა ბოლშევიკები არ აირჩიოს ამ კომიტეტებში, მაგრამ ამით კომიტეტი მნიშვნელობას არ დაკარგავს.

დასასრულ აღვნიშნავთ კიდევ ფ. მ. ერთ ახირებულ წუნს: რატომ ლენინის დეკრეტი არ მიიღეთო, ის დეკრეტი რუსეთის გლეხთა 242 ნაკაზზეა აშენებულიო.

რა გვეთქმის. ფ. მ. გონია, რომ ნამდვილი ღმერთია ლენინი და ის მისი წინასწარმეტყველი. ჩვენ კი გვგონია, რომ ჩვენში მიწის მფლობელობის სხვა პირობებია და გლეხებმა თითონ უნდა აირჩიონ, რა უჯობს მათ.

ფ. მ. წერილის სხვა ადგილებს აღარ გამოუდგებით: იქნებ თითონ გაწითლდეს სირცხვილისაგან ფ. მ., როცა რუსის ჯარისკაცებში დემაგოგობას თავს დაანებებს და თავის წერილს და ჩვენს მიწის დეკრეტს ერთმანეთს შეადარებს.

უჯობესია გვიან, ვინემ არასოდეს!

# მიმდინარე მომენტი

(ნოე ჟორდანიას მოხსენება, რომელიც მან გააკეთა კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა საგანგებო ყრილობაზე).

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების თემა—მიმდინარე მომენტია. ეს მომენტი, როგორც იცით, ხასიათდება ოქტომბრის ამბებით. მაგრამ ოქტომბრის ამბები გამომდინარეობენ თებერვლის ამბებიდან. ამიტომ, იმის გასაგებათ, თუ რამ შექმნა ოქტომბრის ამბები, საჭიროა ვიცოდეთ საიდან წარმოიშვა თებერვლის ამბები. ეჭვი არ არის, რომ თებერვლის რევოლიუცია გამოვიდა მსოფლიო ომის ფაქტიდან. ამ ომმა თავისი განსაკუთრებული თვისებები მიანიჭა რევოლიუციას. როგორი განსაკუთრებული თვისებების მატარებელია ეს ომი? ჩვენ ამ ომს ვუწოდებთ იმპერიალისტურს. ბევრს ეგონა, ვინაიდან რუსეთიც იმპერიას წარმოადგენს, ცხადია ისიც აწარმოებს იმპერიალისტურ ომსო. მაგრამ ეს ასე არ არის. იმპერიალიზმი სამ გვარია. არის იმპერიალიზმი თვითმპყრობელობის, სამრეწველო კაპიტალის და ფინანსიურ კაპიტალის. დღევანდელი ომი სრულებით არ ატარებს თვითმპყრობელობის, პოლიციურ იმპერიალიზმის ხასიათს. იგი არ ატარებს არც სამრეწველო კაპიტალის იმპერიალიზმის ხასიათს, იგი ნამდვილ ფინანსიურ კაპიტალის იმპერიალიზმის შედეგია. ეს შეხედულება ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გამოითქვა. ომამდე გამოვიდა ჰილფერდინგის დიდი შრომა: „ფინანსიური კაპიტალი“, რომელიც კ. მარქსის „კაპიტალის“ შემდეგ უდიდეს შემოქმედებათ ითვლება. ჰილფერდინგი ამტკიცებს, რომ ფინანსიური კაპიტალის წარმომადგენელია ამერიკა და გერმანია, სამრეწველო კაპიტალის—ინგლისი, რამდენიმეთ საფრანგეთი და სხ.

ფინანსიური კაპიტალი, ეს უკანასკნელი საფეხურია კაპიტალიზმის განვითარებისა. პირველი საფეხური, ეს მერკანტილიზმია, მეორე—სამრეწველო კაპიტალი და მესამე—ფინანსიური კაპიტალი. ინგლისი შერჩა კაპიტალიზმის განვითარების მეორე საფეხურზე და ამ ქმათ ომი სწარმოებს კაპიტალიზმის განვითარების მეორე და მესამე საფეხურებს შორის, ინგლისსა და გერმანიას შორის. თუ ჩაუკვირდებით სხვა მებრძოლ სახელმწიფოების ცხოვრებას, დავინახავთ, რომ აქ განვითარებულია ამა თუ იმ სახის კაპიტალი. ავსტრიაში, მაგ. უფრო განვითარებულია ფინანსიური კაპიტალი, ვინემ ინგლისში, თუმცა ავსტრია შედარებით ჩამორჩენილი ქვეყანაა, საფრანგეთში სამრეწველო კაპიტალი უფრო განვითარებული, ვინემ ფინანსიური, თუმცა ბევრს ჰგონია, რომ საფრანგეთი ფინანსიური კაპიტალის ქვეყანაა. ეს შეხედულება გამოითქვა ომის დაწყებამდე და ომმა თავის მხრით დაადასტურა იგი. ომის დროსაც სწარმოებდა გერმანიაში ამ საკითხის გარშემო კამათი. სოციალდემოკრატიული პარტიის მარჯვენა ფრთა ამტკიცებდა, რომ ფინანსიური კაპიტალი არის უმაღლესი და პროგრესიული საფეხური კაპიტალიზმის განვითარებისაო. მარცხენა ფრთა კი, კაუცკის მეთაურობით ამბობდა, რომ ფინანსიური კაპიტალი არ არის კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი საფეხურიო. მაგრამ ყველა იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ დღევანდელი ომი გამოწვეულია ფინანსიურ კაპიტალის იმპერიალიზმით; ამ ომში, რომელიც, მაშასადამე, წარმოშვა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობამ, ჩათრეული იქნა რუსეთიც, რომელიც არ არის წარმომადგენელი არც ერთი, არც მეორე სახის კაპიტალისა, რუსეთი ჩამორჩენილია ეკონომიურათ და სამრეწველო ან ფინანსიურ კაპიტალის ბატონობაზე აქ ლაპარაკიც მეტია. ცხადია, რუსეთი მოექცა იმ დიდ ბრძოლაში, რომელიც დაიწყო ევროპის ბურჟუაზიამ. ეს ომი ადვილათ თავსდება ევროპის ცხოვრების ჩარჩოებში. რუსეთი კი ძალზე ჩამორჩენილია, იგი სასოფლო-სამეურნეო, განუვითარებელი ქვეყანაა. ომი ვერ მოთავსდა რუსეთის ცხოვრების ფარგლებში. აქ იჩინა თავი წინააღმდეგობამ. რუსეთს დაეკისრა მძიმე ტვირთი, რომლის საზიდავათ მას ძალა არ შესწევდა. ამ წინააღმდეგობამ წარმოშვა თებერვლის რევოლიუცია. ამ ომის წარმოება შეეძლო გერმანიას და ინგლისს. რუსეთის ძალ-ღონეს კი ეს აღემატებოდა. ამიტომ რუსეთში უნდა მომხდარიყო რევოლიუცია, რომ იგი ევროპის სახელმწიფოებს გათანასწორებოდა.

თებერვლის რევოლიუცია აღმოჩნდა ნაციონალური, მას მხარი დაუჭირა მცხოვრებთა დიდ უმრავლესობამ. ამბობენ, რევოლიუცია პეტროგრადიდან მივიღეთო. მაგრამ ჩვენ მივიღეთ რევოლიუცია, იმდენათ, რამდენათაც ჩვენ მას ვუჭერდით მხარს, რამდენათ თვით ჩვენ გვსურდა რევოლიუცია, ოქტომბრის რევოლიუციას კი, მაგ. ჩვენ არ ვუჭერთ მხარს და იგი არამც თუ მივიღეთ,—ძალდატანებით, ხიშტითაც კი არ მივიღეთ. თებერვლის რევოლიუციაში მონაწილეობას იღებდენ თითქმის ყველა კლასები, გარდა თავ-აზნაურობისა.

რევოლიუცია ამნაირათ აღმოჩნდა კოალიციონური და ამ გარემოებამ ბევრ ჩვენს ამხანაგს და პარტიებს აუბნია ანგარიში.

მსოფლიო ომმა დასავლეთ ევროპაში ვერ გამოიწვია რევოლიუცია; იგი, როგორც ვსთქვი, სავსებით მოთავსდა დასავლეთ ევროპით ცხოვრების ჩარჩოებში. აქედან ცხადია, თუ რამდენად ფანტასტიურია ბოლშევიკების დღევანდელი მტკიცება; თითქოს რუსეთის რევოლიუციას შეეძლოს გამოიწვიოს დასავლეთ ევროპაში სოციალისტური რევოლიუცია. ისინი ფიქრობენ, რომ ჩვენ უკვე გავუსწარით ევროპას. ეს იწვევს მათი გეგმის არევას და უმზადებს მათ სრულ დამარცხებას.

რატომ იღებდენ თებერვლის რევოლიუციაში მონაწილეობას საზოგადოების თითქმის ყველა ნაწილები? იმიტომ რომ ყველა კლასს ჰქონდა რევოლიუციაში თავის მიზნები. ბურჟუაზია ფიქრობდა, რომ თვითმპყრობელობის დამხობით მოიგებდა ომს, ე. ი. რევოლიუციის საშუალებით სურდა ომის მოგება. თავისი მიზანი ჰქონდა სხვებსაც. ჯარისკაცები, გლეხები და მუშები ფიქრობდენ რევოლიუციის საშუალებით ომის დასრულებას. ყველა თავის მიზნების განხორციელებას მოელოდა. ამ საქმეში უტოპისტი აღმოჩნდა ბურჟუაზია, რომელიც ფიქრობდა პოლიტიკური ცვლილების საშუალებით მოეგო ომი. მაგრამ პოლიტიკურ ცვლილებას არ შეეძლო გამოეწვია ცვლილება ეკონომიური. უბედურების ძირითად მიზეზს თვითმპყრობელობა კი არ შეადგენდა, არამედ რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენა. და ვინაიდან ეკონომიური ურთიერთობა არის საფუძველი პოლიტიკური ურთიერთობისა, ჩამორჩენილი ეკონომიური სტრუქტურაც ასაზრდოებდა თვითმპყრობელობას. მაგრამ თვითმპყრობელობის მოსპობით ვერ შეიცვლებოდა ეს სტრუქტურა, ამისთვის საჭიროა წლები. ჯარი, მუშები და გლეხობა ინსტიქტიურათ გრძნობდა, რომ ომის მოგება შეუძლებელი იყო. მათ არ ჰქონდათ შეგნებული, რა თქმა უნდა, ამის ღრმა მიზეზები, მაგრამ გრძნობდენ, რომ სამრეწველო ომს ვერ მოიგებდა ისეთი ქვეყანა, სადაც ეს მრეწველობა არ არის საკმაოთ განვითარებული. ჯარისკაცის ფარაჯაში გადაცმულ შეუკავშირებელ გლეხობას არ შეეძლო ბრძოლის ველზე დაემარცხებია გაწვრთნილი ევროპიელი მუშები. თვით ჯარისკაცები დარწმუნდენ პრაქტიკაში, თუ რა ძნელია ევროპიელ მუშის დამარცხება. ჯერ კიდევ თვითმპყრობელობის დროს ზოგიერთი შორს გამჭვრეტი რეაქციონერი მაგ. მარკოვი, მოითხოვდენ ომის შეწყვეტას, თორემ რევოლიუცია დაიწყებაო. მაგრამ ბურჟუაზიის ზეგავლენით ვერ მოახერხეს ზავის ჩამოგდება. ომი რომ დასრულებულიყო, დღეს რევოლიუციაც არ გვექნებოდა, შესაძლებელია მხოლოდ მომხდარიყო რამდენიმე საყურადღებო რეფორმა.

გაიგეს კი რევოლიუციის ეს მთავარი მიზანი—ომის შეწყვეტა რევოლიუციონურ პარტიებმა, რომლებიც ახლო დგანან გლეხობასთან და მუშებთან? სამწუხაროთ იმათაც ვერ გაითვალისწინეს ეს. მართალია, რევოლიუციის პირველ დღეებში პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ მიიღო ზომები ზავის მოსახლოვებლათ, გაგზავნა დეპეშაცა საზღვარ გარეთ, გამოიცა მოწოდება ყველა ქვეყნის ხალხისადმი და სხ. მაგრამ გავიდა 8 თვე და ვერაფერს ვერ მივაღწიეთ. ვერ გადასწყვიტეს აქტიური ზომებით შეეწყვიტათ ომი და ამან გამოიწვია ერთი-და იმავე ადგილის ტკეპნა. მთავრობა ხშირათ იცვლებოდა, მაგრამ არსებითად რჩებოდა ერთი და იგივე. რევოლიუციის დაწყების შემდეგ განვლო ერთ თვე ნახევარმა და შესდგა პირველი კოალიციური მთავრობა. ჩვენ, ამიერ კავკასიელები, წინააღმდეგი ვიყავით მთავრობაში შესვლის, ეს დაასუსტებდა სოციალისტურ პარტიებს და ჩამოაშორებდა მათ მუშების ნაწილს. დემოკრატიულ თათბირზე ჩვენს დელეგატებს ამიერ კავკასიის დემოკრატიამ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის სახით დაავალა ხელი შეეწყოთ ძველი კოალიციის მოსპობისათვის და თვით დემოკრატიაში კოალიციის შექმნისათვის. ჩვენ პეტროგრადში, დემოკრატიულ საბჭოს სექციებში ვუმტკიცებდით ამხანაგებს, თუ არ ვაწარმოებდით აქტიურ პოლიტიკას ზავის მოსახლოვებლათ, მიწების ნაწილს მაინც არ გადავცემდით გლეხებს და სხ. და სხ.—მაშინ მუშების ნაწილი გადავიდოდა ბოლშევიკების ბანაკში. მაგრამ ჩვენ იქ დავმარცხდით და შესდგა მესამე კოალიციური მთავრობა, ჩვენ სხვა პოლიტიკას ვადგეით, ვინემ რუსეთელი ამხანაგები. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ქვეყანას დამღუპველ კრიზისამდე მიიყვანს ისეთი მთავრობა, რომელიც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით შეუდგება ხალხის მოთხოვნილებათა განხორციელებას. ბევრი მოგვემხრო ჩვენ, მაგრამ უმრავლესობა არ დაგვეთანხმა. ამხანაგები ფიქრობდენ, რადგანაც რევოლიუცია მოახდინა კოალიციამ, ცხადია კოალიციური პრინციპი უნდა დავიცვათ ბოლომდეო და სწორეთ შეცდომაც ამაში მდგომარეობდა. მათ ავიწყდებოდათ, რომ ყველა რევოლიუციაში მემარჯვენე ნაწილები თანდათან გადადიან მოწინააღმდეგეთა ბანაკში, მიხედვით იმისა, თუ რამდენათ ღრმავდება რევოლიუცია. ჯერ მთავრობიდან გავიდნენ ოქტომბრისტები. დარჩენ კადეტები, მაგრამ რევოლიუციის გაღრმავებას მათი ჩამოშორებაც უნდა გამოეწვია და ისინიც ჩამოშორდენ კიდეც რევოლიუციას. ეს არ უნდოდათ დაენახათ ამხანაგებს და მაინც ეპატიჟებოდენ კადეტებს. ამ გარემოებამ გააძლიერა ბოლშევიკები და მიგვიყვანა ოქტომბრის ამბებამდე, მაგრამ ამ მოვლენის მარტო ამა თუ იმ ტაქტიკის წარმოებით ახსნა არ შეიძლება, არსებობს სხვა მიზეზებიც.

ბოლშევიზმი არ არის მარტო რუსეთის დამახასიათებელი მოვლენა, ყველა რევოლიუციებში იჩენს ბოლშევიზმი თავს, მაგრამ ისეთი ძლიერი არსად არ ყოფილა იგი, როგორც რუსეთშია. ივნისის აჯანყება 1848 წ. იყო ბოლშევიკური გამოსვლა. 1871 წლის კომუნა, ე. ი. ერთი ქალაქის ფარგლებში, მიუხედავათ მსოფლიო ბაზრის მდგომარეობისა, კომუნისტური წყობილების შექმნა—ესეც ბოლშევიკური განზრახვა იყო. ყველა რევოლიუციებში, როცა მასსა თავისუფლდება, როცა მას არავითარი დაბრკოლება არ ელობება წინ, იგი ცდილობს სავსებით განახორციელოს თავისი მიზნები, იგი სტიქიურათ მიისწრაფვის წინ. იგი ანგარიშს არ უწევს სინამდვილეს, ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას და მაქსიმალიზმში ვარდება. იმ ხანებში ამ იდეების მატარებელი იყო პარტიები, დიდი მოაზროვნეები, ჩვენ ვიცით, ბევრი გამოჩენილი მოაზრე ფიქრობდა, რომ ყოველთვის და ყოველგან შესაძლებელია სოციალიზმის დამყარებაო. უტოპისტები და ბლანკისტები ფიქრობდენ, რომ ყოველთვის შესაძლებელია სოციალისტური რევოლიუციის მოწყობაო. განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ უტოპისტები ფიქრობდენ სოციალიზმის დამყარებას მშვიდობიანი გზით, ბლანკისტები კი—აჯანყებით, ხიშტით. ჩვენში, რუსეთში, ბოლშევიკები გაჩნდენ, როგორც იცით, ს. დ. პარტიის მეორე ყრილობაზე. ამ ყრილობამდე არ იყო თეორიის სფეროში და ტაქტიკის საკითხში განსხვავება. უთანხმოებას იწვევდა მხოლოდ ორგანიზაციული კითხვები, მაგრამ შემდეგ ორგანიზაციული ბოლშევიზმი გადავიდა ტაქტიკის ბოლშევიზმში, პროგრამა კი ერთი გვქონდა. იგი დღემდისაც არ შეუცვლიათ ბოლშევიკებს ფორმალურათ. პროგრამაში გარკვევით არის აღნიშნული, თუ როგორია ჩვენი უახლოესი და საბოლოო მიზნები. პროგრამაში ნათქვამია, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი ისეთია, როგორც არის ყველა სოციალისტების. ეს არის სოციალიზმი. უახლოესი მიზანი კი—სოციალიზმის განხორციელებისათვის პირობების მომზადებაა, კერძოთ თვითმპყრობელობის მოსპობა, და დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. მაშასადამე, პროგრამა-მინიმუმის თანახმათ, დღევანდელ რევოლიუციას უნდა განემტკიცებინა ჩვენში დემოკრატიის ბატონობა. ამ დებულებებიდან გამოდიოდით ჩვენ და ბოლშევიკები ყოველთვის, განსხვავება იყო მხოლოდ ტაქტიკაში. მაგრამ ის ბოლშევიზმი, რომელთანაც ჩვენ გვაქვს დღეს საქმე, სავსებით ჩამოშორდა ჩვენი პროგრამის თვალსაზრისს. ჯერ კიდევ მარტში განაცხადა ლენინმა, უნდა უკუვაგდოთ სოც.-დემ. პროგრამა, ჩვენს თავს უნდა ვუწოდოთ კომუნისტები და არა სოციალ-დემოკრატები. მაშინ ვფიქრობდით, რომ ეს შემთხვევითი განცხადება იყო, არავის არ მიუქცევია ყურადღება, თვით ბოლშევიკებმა მიაფუჩეჩეს ლენინის განცხადება.

განვლო 8 თვემ, მაგრამ ძირითადი საკითხები კვლავ გადაუჭრელი დარჩა. ისტორიამ არ იცის მაგალითი, რომ რევოლიუციის დროს ხალხს 8 თვე ეცადოს. უტოპია იყო იმაზე ფიქრი, რომ რუსის ხალხი მოთმინებას რომ არ დაინახავდა, კიდევ დაიწყებდა ცდას, თუმცა იგი მეტათ მომთმენი ხალხია. ეს გარემოება მიერეკებოდა მათ ბოლშევიკებისაკენ. ბოლშევიზმის სტიქია თანდათან ძლიერდებოდა. ამის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მთავარ კითხვების გადაჭრით. მაგრამ ეს საკითხები ვერ გადასჭრეს და ის პარტიები და საბჭოები, რომლებიც წინათ სარგებლობდენ მასსის ნდობით, ნიადაგს თანდათან ჰკარგავენ.

ბოლშევიკები ევროპაში არასოდეს არ სცდილობდენ გამოეწვიათ მასსის სტიქიური მოძრაობა. 1871 წ., მაგალითად, მარქსის უები ამტკიცებდენ, რომ კომუნა დაღუპავს რევოლიუციასო, მაგრამ თავის პირველ პროგრამაში ისინი სწერდენ ჩვენ აუცილებლად ვართ ავიღოთ ხელში ძალა-უფლებაო. ჩვენში კი ბოლშევიკები თვითონ ცდილობენ გაადიზიანონ მასსა, აყენებენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელთა განხორციელება დღეს შეუძლებელია.

ყოველივე ამას შედეგათ მოყვა ოქტომბრის ამბები. ამ გადატრიალებას უწოდებენ მეორე რევოლიუციას. შეიძლება უწოდოთ მას რევოლიუცია?

არა, არ შეიძლება. როგორი იყო თებერვლის და ოქტომბრის გადატრიალება? თებერვლის გადატრიალება—ეს ქუჩებში გამართული ბრძოლა იყო, სამი დღის ბრძოლის შემდეგ ჯარი მიემხრო მუშათა კლასს და გამარჯვებაც დემოკრატიას ერგო. ეს წმინდა კლასიური ბრძოლა იყო. ოქტომბრის გადატრიალება კი მოხდა ჩუმათ, ღამით; იგი შედეგია შეთქმულებისა, ბოლშევიკებმა მოახდინეს გადატრიალება არა მარქსის, არამედ ბლანკის მეთოდით. ბლანკი ქადაგებდა შეთქმულებას, ურგანიზაციო გამოსვლას. მარქსიზმი ამტკიცებდა, რომ შეთქმულებით არ შეიძლება სოციალიზმის განხორციელება და ბლანკისტებიც შეურიგდენ მარქსისტებს. ჩვენში კი წინააღმდეგ მოხდა. ჩვენ არ უარვყოფთ ძალას, მაგრამ მას თავის დრო და ადგილი აქვს. მარქსი ამბობს, რომ ძალა ბებიაობას უწევს ძველ საზოგადოებას, რომელშიაც ჩასახულია ახალი საზოგადოებაო. მაგრამ თუ ძველ საზოგადოებაში არ არის ჩასახული ახალი საზოგადოება, ძალის გამოყენებით თქვენ ვერაფერს ვერ მიიღებთ, გარდა ძალდატანებისა.

როგორი არის ოქტომბრის ამბების ხელმძღვანელთა მიზნები? ეჭვი არ არის ოქტომბრის გადატრიალებაც ისახავს ისეთ მიზნებს, რომლებსაც იზიარებს საზოგადოების უმრავლესობა. ასეთია მაგალითად, ომის დათავება და გლეხებისათვის მიწის გადაცემა. როგორი არის ბოლშევიკების საზავო პოლიტიკა? ჩვენ ყველას გვინდა ზავი ჩამოვაგდოთ, მაგრამ არა იმ გზით და იმ მეთოდით, რომელსაც ბოლშევიკები მიყვებიან. თქვენ იცით, როგორი ზავი გვაქვს ჩვენ დღეს. ფრონტი სავსებით გაშიშვლდა, სფერზე მოქეიფის როგორც თამაშობის, ისე ვილჰელმის მხრით თუ ჯარი არ გვეყოლა ისე, რომ ზავი ჩამოვარდეს, ეს ჩვენი ეკონომიურათ დამონების მომასწავებელი იქნება. ისტორიას არ ახსოვს მაგალითი, რომ რევოლიუციონერ ჯარს თავის ნებით მიეტოვებინოს საზღვრები. წინააღმდეგ, რევოლიუციონერი ჯარი ყოველთვის ფხიზლათ იცავდა საზღვრებს. ჩვენში პირველათ მიატოვა რევოლიუციონურ ჯარმა საზღვრები. რატომ არ ფიქრობს რუსეთის ჯარისკაცი, რომ საზღვრის მიტოვებით იგი ხელს უწყობს სახელმწიფოს დაშლას? მას არ აინტერესებს, თუ სად გაივლის ახალი საზღვარი, ოღონდ სახლში კი წავიდეს ადრე. ევროპაში ჯარისკაცები ამას არასოდეს არ ჩაიდენენ. მათ სწყურიათ ზავი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საზღვრებს არ დასტოვებენ თავის ნებით. ნუ თუ ჩვენ ევროპიელებზე მაღლა ვდგევართ? არა, ჩვენ მათზე უფრო დაბლა ვდგევართ. ჩვენ არ გვესმის რას ნიშნავს საზღვრები, ეკონომიური ცხოვრება, სახელმწიფოებრიობა და სხვა. ეს კი ჩამორჩენის, განუვითარებლობის მიზეზია. გლეხობა თავის საკუთარ გუბერნიის იქით არ მიდის და ეს ლოკალური პსიხოლოგია გადავიდა ინტელიგენციაშიაც. მუშები? ჩვენ არა გვყავს ნამდვილი ევროპიული მუშები. ჩვენი მუშები გუშინ გლეხები იყვნენ და დღესაც შეუძლიათ გახდენ გლეხათ. ამიტომ ისინიც გლეხობის თვალსაზრისზე დგანან. მათ ეს მიაჩნიათ ინტერნაციონალიზმათ. ჩვენის აზრით კი ეს ნამდვილი ჩამორჩენის, ვულგარიზმის მიზეზია. ამ გარემოებათა გამო ბოლშევიზმი ძლიერდება, ვინაიდან მის მტკიცე საფუძველს ქვეყნის ჩამორჩენა შეადგენს.

და აი, ბოლშევიკებმა მიიღეს კიდეც ზავი, რომლის შესახებ მე ზევით ვლაპარაკობდი. მაგრამ ჩვენ არ გვინდოდა ასეთი ზავი. თუ ჯარი სტოვებს ფრონტს, ჩვენ თვით უნდა დავიცვათ ჩვენი თავი. აქაც რომ მიატოვონ ჯარისკაცებმა ფრონტი, ჩვენ იძულებული ვიქნებით ავიღოთ ხელში იარაღი და დავიცვათ თავი. ამ წინააღმდეგობამ გამოიწვია სწორეთ თებერვლის რევოლიუცია. ეკონომიურათ ჩვენი ძალზე ჩამორჩენილობა ქმნის ისეთ სამარცხვინო ზავის ჩამოგდების ნიადაგს, როგორიც ისტორიამ ჯერ არ იცის. მაგრამ ნახევარი უბედურება იქნებოდა ბოლშევიკები რომ მხოლოდ [illegible] სწერდენ ზავის საკითხს. ისინი ამის გარდა თავს გვახვევენ სოციალისტურ ექსპერიმენტებს, ცდილობენ სოციალისტური რევოლიუციის დაწყებას. ლენინმა განაცხადა [illegible] „დღეიდან ფაბრიკები, ქარხნები, ტრანსპორტი, იქნება თქვენი (ე. ი. მუშების) საკუთრებაო“. ასეთი წერილებით იგი აგანგებს ვითომ სოციალიზმს და ყველა თავის ნაბიჯებს ისინი აკეთებენ ისე, თითქოს სოციალისტური რევოლიუციის დასაწყისში იმყოფებოდენ. და აი, ქვეყანა ჩამორჩენილი, განუვითარებელი, სადაც 88 პროც. გლეხობა შეადგენს, რომლის დიდმა უმრავლესობამ წერა-კითხვაც არ იცის, აი აქ სურთ განახორციელონ სოციალიზმი! ჩვენ მარქსის მოძღვრების თანახმათ ვიცით, რომ სოციალისტური საზოგადოება აღმოცენდება მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოების ნანგრევზე, რომ ჯერ უნდა მოხდეს საწარმოო ძალთა განვითარება და აქედან დაიბადოს სოციალისტური წარმოება. დღემდის ჩვენ ბოლშევიკებთან ერთად ვიდექით ამ თვალსაზრისზე. ახლა კი ბოლშევიკები სცილდებიან მეცნიერულ სოციალიზმის ან-ბანს და ჩამორჩენილ ქვეყანაში უნდათ განახორციელონ სოციალიზმი. როგორც თვითმპყრობელობამ მოახვია რუსეთს თავზე ისეთი ომი, რომლის წარმოება მან ვერ შესძლო, ისე ოქტომბრის გადატრიალებამ რუსეთს მოახვია თავზე სამოქალაქო ომი, რომლის გადატანა მას არ შეუძლია. ოქტომბრის ამბები — ეს უმრავლესობის წინააღმდეგ უმცირესობის ამბოხებაა. მას არ სცნობს განაპირა ქვეყნები, ციმბირი, მას არ სცნობს თვით რუსის გლეხი. თებერვლის რევოლიუციამ გაერთიანება გამოიწვია. ოქტომბრის გადატრიალებამ კი გამოიწვია დანაწილება და სამოქალაქო ომი. ბოლშევიკებმა წამოაყენეს ლოზუნგი: „ზავი ფრონტზე, ომი შინ“. მე ვამტკიცებ, რომ რევოლიუციონერები ყოველთვის წინააღმდეგი არიან სამოქალაქო ომის, მას მხარს უჭერენ მხოლოდ რეაქციონერები. ასე იყო ინგლისში ეგრეთ წოდებულ თეთრი და წითელი ყვავილის სამოქალაქო ომის დროს, ასე იყო გერმანიაში 7 წლის ომის დროს, ასე იყო საფრანგეთის რევოლიუციების დროსაც, (ვანდეელთა ომი), როცა კონვენტმა, მაგალითად, დაადგინა ყველა სამოქალაქო ომის მომხრეებისათვის თავი მოეკვეთა. ჩვენში კი თვით ბოლშევიკები არიან სამოქალაქო ომის მომხრე. ამიტომ ჩვენ ვხედავთ მათ ბანაკში ბევრ რეაქციონერს (ტაში), რომლებმაც კარგათ იციან, რომ ანარქიას რეაქცია მოჰყვება.

ბოლშევიკები ჩამოშორდენ მეცნ. სოციალიზ. და პირდაპირ მაქსიმალიზმში გადავარდენ. როგორია მათი დამოკიდებულება დემოკრატიზმთან? ისინი თავის თავს უწოდებენ სოციალ-დემოკრატებს. დემოკრატიზმის მთავარ საფუძველს კი საყოველთაო საარჩევნო უფლება წარმოადგენს. ბოლშევიკებმა კი გარეკეს ჯერ მოსკოვის, შემდეგ პეტროგრადის ქალაქის საბჭოები და თვით დამფუძნებელი კრებაც. მეორე საფუძველი დემოკრატიზმისა არის პრესის თავისუფლება. ბოლშევიკები ხურავენ თითქმის ყველა გაზეთებს, მოსკოვში ამ დღეებში შემოიღეს ცენზურა. სოციალისტური გაზეთები არ დაემორჩილნენ ცენზურას, რამაც გამოიწვია მათი დახურვა. მესამე საფუძველი დემოკრატიზმისა—ეს კავშირების თავისუფლებაა. ბოლშევიკები კი სდევნიან კადეტებს ისე, როგორც ჩვენ გვდევნიდა თვითმპყრობელობა. მაშასადამე, ბოლშევიკები ჩამოშორდენ როგორც მარქსიზმს, ისე დემოკრატიზმს.

აქედან ცხადია, იმ პარტიებსა და მთელ ოლქებს, რომლებიც არ იზიარებენ ანტი სოციალისტურ და ანტი დემოკრატიულ თვალსაზრისს, უნდა ეფიქრათ თუ როგორ გადაერჩინათ რევოლიუციის მონაპოვარი. ეს საკითხი დადგა ჩვენს წინაშეც. ვინაიდან უკრაინამ და სხვა განაპირა ქვეყნებმა უკვე მოაწყვეს თავის მმართველობა და ცენტრში კი არ არსებობდა ყველას მიერ აღიარებული მთავრობა, ჩვენც იძულებული შევიქენით საკუთარ ხელში აგვეღო თავისი ბედი, რადგანაც ფაქტიურათ სავსებით მოვსწყდით ცენტრალურ რუსეთს და აქ, მუშათა, ჯარისკ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრების, აღმასრულებელ კომიტეტების და სხვა რევოლიუციონურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების თათბირზე დავადგინეთ შევქმნოდით ამიერ კავკასიის კომისარიატი. მე აქ არ შევჩერდები ამიერ კავკასიის კომისარიატის მოქმედებაზე. იგი შევქმენით ჩვენ თავის თავის დასაცავათ და ცენტრზე გავლენის მოსახდენათ, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ერთი ცენტრალური მთავრობის შექმნა. მაგრამ ბოლშევიკებმა მოახერხეს და ჩვენი ეს რევოლიუციონური ნაბიჯი თავის სააგიტაციო იარაღათ გამოიყენეს. ისინი ეწეოდენ ჯარისკაცებში და მცხოვრებთა შორის აგიტაციას, ვითომ ჩვენ ჩამოვშორდით რუსეთს და სხვა. ასეთივე აგიტაციას ეწეოდენ ისინი თავის გაზეთების ფურცლებზე. აი რას სწერს შაუმიანი „კავკ. რაბ.“-ში: „რუს ჯარისკაცებში აღელვებას იწვევს განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ნაციონალური სამხედრო ნაწილების შეიარაღება და შემოსვა (обмундированіе) ხდება რუს ჯარისკაცების ხარჯზე“ *). (ხმები: ეს პროვოკაციაა...) გამოდის, ვითომ ადგილობრივი ჯარისკაცები რუს ჯარისკაცების ხარჯზე იარაღდებიან და იცვამენ ტანისამოსს. სხვა კითხვაა, რომ დაეწერა სახელმწიფოს ხარჯ-

*) იხ. „Кавказскій Рабочій“ № 223.

ზეთ. სახელმწიფოს ხაზინაში ხომ ჩვენც შეგვაქვს გადასახადი. ეს კი ნამდვილი დემაგოგიაა, რომელიც ერთგვარ საფრთხეს ამზადებს. ბოლშევიკები აქ ალაპარაკდენ რუს რეაქციონერების ენით. მე ვიყავი მოწამე, რას სწერდენ ეს რეაქციონერები ამ 20 წლის წინათ ჩვენში. მაგრამ ბოლშევიკებსავით ისინი მაინც არ სწერდენ, ისინი მეტ წინდახედულობას იჩენდენ. ამნაირად, ბოლშევიკები ჩამოშორდენ არა მარტო მარქსიზმსა და დემოკრატიზმს, მათ შესტოპეს რეაქციონერობაში.

სად არის გამოსავალი გზა? რომელი ძალა აღადგენს რუსეთს და დაამკვიდრებს დემოკრატიულ წყობილებას? ეს ძალაა მხოლოდ ერთად-ერთი—დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრება აერთიანებს მთელს ქვეყანას, იგი გამოიყვანს რუსეთს იმ ჩიხიდან, რომელშიაც ბოლშევიკებმა მიიყვანეს. მაგრამ ბოლშევიკებმა კარგად იციან, რომ დამფუძნებელ კრების ძალა-უფლების დასაწყისი იქნება მათი ძალა-უფლების დასასრული. ამიტომ ებრძვიან ისინი დამფუძნებელ კრებას. მაგრამ მათ უნდა იცოდენ, რომ ხალხის წარმომადგენლობასთან ბრძოლა ყოველთვის მის მოწინააღმდეგის დამარცხებით დასრულებულა. ლუი მე-16 გარეკა დამფუძნებელი კრება, მაგრამ სწორედ მაშინ დაიწყო რევოლუცია. ნიკოლოზ მეორემ გარეკა პირველი დუმა, მაგრამ იძულებული შეიქნა მოეწვია მეორე. გარეკა მეორეც, მაგრამ მოაწვევინეს მესამე. და როდესაც გარეკა მეოთხე დუმაც, მან თავისი გვირგვინიც დაჰკარგა. ასეთივე იქნება ლენინის ბედიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ნიკოლოზ მეორემ დაჰკარგა თავისი გვირგვინი, ლენინი კი დაჰკარგავს თავს. (მქუხარე ტაშისცემა და ხანგრძლივი ოვაციები).

## დეპეშა

ბრძანება, კავკასიის ჯარებს, რევოლუციონურ არმიის ყველა ჯარისკაცებს, სამხედრო რევოლუციონურ კომიტეტს, არმიის ყველა კომიტეტებს.

ამხ. ათასგვარი ცილი დაგვწამეს ჩვენმა მტრებმა, როცა ჩვენ სამშვიდობო მოლაპარაკება დავიწყეთ. ჩვენ გვაბრალებდენ მოღალატეობას, ხალხის ინტერესების გაყიდვას. როცა ჩვენ ეს მოლაპარაკება დავიწყეთ, ჩვენ მოკავშირეებთან შეუთანხმებლათ, ჩვენ იაპონიასთან ომით გვემუქრებოდენ. რვა თვის განმავლობაში, 27 თებერვლიდან 25 ოქტომბრამდე ბ.ბ. კერენსკი და ტერეშჩენკო ერთად და ნაწილ-ნაწილად ჰყიდდენ რუსეთის რევოლუციას, სიტყვით იბრძოდენ ზავისთვის და საქმით კი შეტევისა და ომისთვის ემზადებოდენ. კერენსკის მთავრობა 1918 წლის მაისს ემზადებოდა კიდევ ერთი შეტევისთვის და მხოლოდ 1918 წლის დეკემბერში აპირებდა ზავის შეკვრას. ამხ. 25 ოქტომბერს ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო სახალხო კომისარების მთავრობამ და 22 ნოემბერს მან უკვე გაუგზავნა ნემცებს დელეგაცია სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებათ, რომ დროებით შერიგება მოეხდინათ და მერე შესდგომოდენ ზავის შესახებ მოლაპარაკებას. მეფის მოკავშირენი, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტები ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ მოლაპარაკება შეწყვეტილიყო. რუსეთის „ობორონცები“ ბურჟუაზიასთან ერთად ხმაურობა ასტეხეს, რომ სახალხო კომისარების საბჭოს უნდა სეპარატიული ზავი შეკრასო. ჩვენ წინადადება მივეცით ჩვენ მოკავშირეებს შემოერთებოდენ ჩვენ წინადადებას, იგინი კი ხმას არ იღებდენ, როცა დროებით შერიგება მოხდა მოკავშირეებმა ბრძოლის სხვა საშუალებას მიმართეს; რადგან მათ ძალა არ შესწევდათ ცხოვრებაში გაეტარებიათ თავიანთი მუქარა, რადგან მათ ძალა არ შესწევდათ ჩვენთვის ომი გამოეცხადებიათ, იმიტომ, რომ ხალხი თავის დღეში არ იომებს რევოლუციონურ რუსეთთან, რომელიც ხალხს ზავს აძლევს, მოკავშირეებმა გადასწყვიტეს მიმართონ, ჩუმათ დაეღუპათ რუსეთის რევოლუცია. ჩვენ ეხლა ვიცით, რომ ამერიკის კაპიტალისტები აჯანყებულ კალედინს როსტოვში იარაღს და ფულებს უგზავნიდა. ეხლა გავიგეთ, რომ საფრანგეთის მთავრობამ მოლაპარაკება გამართა უკრაინის რადასთან, რომ ჩაშალოს ზავის საქმე. ამხანაგებო! 12 დეკემბერს ნემცები დათანხმდენ გამართონ ზავზე მოლაპარაკება ჩვენი პირობების თანახმად, ნემცები დაგვეთანხმდენ შეკრან უანექსიო და უკონტრიბუციო ზავი. იგინი ამბობენ, რომ თანახმანი არიან საერთო ზავის და არა მარტო სეპარატიულის. იგინი თანახმანი არიან შეკრან ზავი ყველა მებრძოლ სახელმწიფოებთან იმ პირობით, რომ ამ მხარეებში მყოფი ჯარები გაიყვანონ. ნემცები თანახმანი არიან, რომ აღდგენილ იქმნას ყველა ის პატარა სახელმწიფოები თავის საზღვრებში, რომლებიც ომის დროს იქნა განადგურებული და მათი დამოუკიდებლობა ფეხ ქვეშ გათელილი. ნემცები თანახმანი არიან არ მოითხოვონ არავითარი კონტრიბუცია, თანახმანი არიან, რომ დანგრეულ ქვეყნების ზარალის ასანაზღაურებლად ფულები საგანგებო საერთაშორისო ფონდიდან გადაიხადონ. თანახმანი არიან მხოლოდ იმაზე, რომ დამოუკიდებლობა მიენიჭოს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ომის დაწყებამდე სხვა სახელმწიფოს საზღვრებში იყო, მაგრამ ნემცები მოითხოვენ, რომ უკონტრიბუციო და უანექსიო ზავზე არა მარტო რუსეთი, არამედ—ყველა მებრძოლი სახელმწიფოები დასთანხმდენ. ჩვენ ათი დღით შევსწყვიტეთ მოლაპარაკება, რომ ეროვნულ კიდევ მივმართოთ მოკავშირეებს მიიღონ ეს პირობები. ამხ.! ჩვენ ინგლისის და საფრანგეთის მთავრობის შიშით არ ჩავდივართ ამას, არამედ—რევოლუცია გვავალებს ჩვენ, რომ ყველა ხალხმა მიიღოს ზავი. ხოლო უკეთუ მოკავშირე სახელმწიფოებმა ეხლაც თუ ხმა არ ამოიღეს, მაშინ ასი ათასი კაცის წყევა კრულვა და სისხლი მათ თავზე იყოს. ჩვენ ჩვენი მოკავშირე ბურჟუაზიულ მთავრობებს ათ დღეს ვაძლევთ გვიპასუხონ თანახმანი არიან თუ არა შეჰკრან გერმანიასთან საპატიო დემოკრატიული ზავი. ახლოს არის საყოველთაო დემოკრატიული ზავი. ყოველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენათ ფხიზლათ და მედგრათ იქნებით ფრონტზე. ამხანაგებო! კიდევ ცოტა, ამხანაგებო, და სამი წლის ტანჯვა-წვალების შემდეგ ჩვენ ვეღირსებით სასურველ ზავს. ამხანაგებო! დიდებული გამარჯვება მოვიპოვეთ, რევოლუციონურ რუსეთის წინ ქედი მოიხარეს გერმანიის გაუმაძღარმა მტაცებელმა ბურჟუაზიამ, იგინი ვერ ბედავენ მტაცებლობის და ძარცვის წინადადება მოგვცენ, მათ ეშინიათ თავის ხალხის, ეხლა ჩვენი მიზანია—გავუმკლავდეთ ზავის მოწინააღმდეგე შინაურ მტრებს, ჩვენი მიზანია—ჩავახჩოთ შიგნით ყველა იგინი, რომლებიც ბედავენ იარაღის ხელში აღებას სახალხო კომისარების წინააღმდეგ—უკრაინელთა რადა, რომელიც კალედინს ეხმარება, ჩავახჩოთ ყველა ის, ვინც ხელს უშლის ზავის საქმეს. უკრაინელებო! თქვენი ვალია დაგვეხმაროთ ამ ბრძოლაში, ყველამ, როგორც ერთმა კაცმა, დაიცვათ ზავის საქმე; ვუბრძანებ ტელეგრამით გაავრცელონ ეს ბრძანება ჯარებში.

სახალხო კომისარი და უმაღლესი მთავარსარდალი კრილენკო.

პეტროგრადი, 19 დეკემბერი, 1917 წ.

## ახალი ამბები

**ხონის დარბევა.** ქუთაისის გუბერნიის კომისარი გ. გიორგაძე ა. ჩხენკელს დეპეშით ატყობინებს, რომ 20 დეკემბერს აფხაზების, მეგრელების და ლეკებისაგან შემდგარ ყაჩაღთა ბრბო, რიცხვით 30 კაცი თავს დაესხმია ქ. ხონს, თავის კაბინეტში მოუკლავს მილიციის უფროსი პრაპორშჩიკი კეკელიძე და მძიმედ დაუჭრიათ მისი საქმის მწარმოებელი. შემდეგ წასულან ფოსტის შენობისკენ გასაძარცვავათ. ამ დროს ქალაქის მილიციონერებს, რიცხვით ათი კაცი, ენერგიულად დახვედრია ყაჩაღებს და ბრძოლა გაუმართავს მათთვის. ყაჩაღების მხრით იქვე მოუკლავთ 6 კაცი და ცოცხლად შეუპყრიათ ერთი. ამას ყაჩაღები არ მოელოდენ და თავზარდაცემულნი გაიქცენ, წაიღეს ფოსტიდან მხოლოდ 7 ათასი მანეთი. ეტლებით გაქცეულან ცხენის წყლისკენ. გიორგაძე წასულა მაშინვე ხონში და თან წაუყვანია 35 წითელი გვარდიელი. ყაჩაღებს დაედევნენ. დაიჭირეს ზოგიერთი ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებზედაც ეჭვი მიიტანეს, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს ყაჩაღებთან ერთად თავდასხმაში.

**განჯის ამბები.** განჯის სადგურის უფროსი დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიის კომისარიატის თავმჯდომარეს: სადგურის დაცვა მოწესრიგებულია მე-5-ე მოსაზღვრე პოლკის ეშელონის დახმარებით. მოსამსახურეთა უმრავლესობამ სამსახურს თავი დაანება. აქ მოსულ ეშელონის ჯარის კაცები, ხედავენ რა განადგურებულ სადგურს, [illegible], თვითსამართლებას ახდენენ. დღეს, საღამოთი, (19 დეკ.) მოკლულ იქნა 5 თათარი. მოვიდა ყაზახ-პლასტუნების ეშელონი. ისინი არ აპირებენ წასვლას იმ წინადადებით, რომ ყაჩაღებს აელაგმავთო. მოსალოდნელია გამწვავება. 23 იუნკერს გარდა არ არის შეიარაღებული ძალა. სარიყამიშიდან მოდიან სამხ. ნაწილები; საშიშროა სადგურის მოსამსახურეთა თავიანთ ადგილებზე დარჩენა. საჭიროა დამცველი რაზმები, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმოსვლა შეწყდება. განჯაში შიმშილობა დაიწყო, რაც სერიოზულ შედეგებს გამოიღებს. 20 დეკ. საღამოთი სადგურზე სროლამ შესამჩნევად იკლო. დამცემ ყაჩაღებიდან მოკლულია 300 კაცამდე; ჯარის კაცებსა და მოსამსახურეთა მხრივ 15-მდის. ელიან რკინის გზის პოლკს. საღამოს 7 საათ. ყაჩაღები დაეცენ სადგ. ზაზალას, დაარბიეს მოსამსახურეთა სადგომები, გაანადგურეს სადგურზე ინვენტარი, წაიღეს ტელეგრაფის აპარატი; სადგური დახურულია. მოსამსახურენი განჯაში ჩამოვიდენ. ასეთივე ბედი ეწია სადგ. დალი—მომეტლის. სადგური ალაბამდე დარბეულია, მგზავრების სადგომი გადამწვარია. თფილისიდან მოსული საჩქარო მატარებელი, რომელიც გამოვიდა 19 დეკ. დ. 10 ს. განჯაში დარჩა. ქალაქთან დამოკიდებულება არ არის დარღვეულ სოფლების მცხოვრებნი და მოსამსახურენი დამშეულნი არიან. 20 დეკ. ღამის 11 საათზე სად. აქსტაფიდან გახშირებული სროლის ხმა ისმოდა. ადგილობრივი მცხოვრებნი აფრთხილებდენ მოსამსახურეთ, რომ ღამით ისევ თავდასხმა მოხდებაო, მაგრამ თავდასხმა არ ყოფილა.

**სიმფეროპოლიდან** ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, რომ იქ თანახმათ თავრიდის საგუბერნიო საბჭოს დადგენილებისა დაარსდა სახალხო წარმომადგენელთა საბჭო, რომელიც წარმოადგენს გუბერნიაში უმაღლეს ძალა-უფლებით აღჭურვილ ორგანოს, სანამ ასეთი არ იქნება შექმნილი სრ. რუსეთის დამფუძნებელ კრების მიერ. საბჭოში შედიან ყველა რევოლუციონურ პარტიათა წარმომადგენლები და ისახავს მიზნათ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების ენერგიულ დაცვას.

**იგდირიდან** ამიერ-კავკასიის კომისარიატმა მიიღო შემდეგი დეპეშა: „სომეხთა სახალხო პარტიის იგდირის განყოფილების წევრები პროტესტს აცხადებენ თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც სომეხთა საეკლესიო სამონასტრო ქონებათა სეკულიარიზაციას შეეხება და გამოთქვამენ გაკვირვებას ჩვენი ხალხისადმი თქვენი ასეთი განსაკუთრებული ყურადღების გამო. ჩვენ ვიცავთ ამიერ-კავკასიის კომისარიატის სომეხ წევრებს, რომელთაც დაუშვეს საერთო ხასიათის და პრინციპიალური საკითხის კერძოთ და მიდგომილად გადაწყვეტა“.

**ბანკის დახურვა.** ფულის უქონლობის გამო სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილებამ შესწყვიტა ოპერაციები. განყოფილების მმართველი თფილისში ჩამოვიდა, რათა გამოარკვიოს განყოფილების ოპერაციების განახლების შესაძლებლობა.

**თფილისში შესვლა.** თფ. ქალაქის გამგეობა სთხოვს ქალაქ გარე მცხოვრებ პირებს, ნუ შემოვლენ თფილისში, თუ უკიდურესი საჭიროება არ იქნება. ასეთი წინადადება მჭიდროთ დაკავშირებული სასურსათო და სხვა აუცილებელ საგნების კრიზისთან.

**ქიურდამირიდან** ამიერ-კავკასიის კომისარიატს ატყობინებენ, რომ განჯაში მომხდარი დარბევის გამო მოსამსახურეების უკმაყოფილებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. მოსამსახურენი დაჟინებით მოითხოვენ შესაფერათ მორთულ ვაგონებს ოჯახების ბალაჯარის გზით ბაქოში გადასაგზავნად. ამასთანავე მოითხოვენ, რათა შეიარაღებულ იქნეს ყველა მოსამსახურენი.

**თფ. პარიკმახერთა პროფეს.** კავშირი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოთ, რომ 24, 25 და 26 დეკემბერს ყველა საპარიკმახერო—სადალაქოები დახურული იქნება. აკრძალულია სახლებში მუშაობაც.

**სურსათი,** 20 და 21 დეკემბერს თფილისში შემოიტანეს: 2 ვაგონი ფქვილი, 4 ვაგონი ხორბალი და 2 ვაგონი ქერი.

**ლექცია.** ხვალ, 23 დეკ. საღ. 7 ნახ. საათზე ავლაბრის საზამთრო კლუბში (კახეთის მოედანი № 1) ამხ. ზ. თევზაია წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „რევოლუცია და კონტრ-რევოლუცია“ და „ზავი და დროებითი შერიგება“.

### კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, ვერის მუშათა კლუბში გაიმართება საღამო ორის განყოფილებით: 1) ვ. ჯუღელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ბოლშევიზმი და რუსეთის რევოლუცია“. 2) სალიტერატურო და სამუსიკო განყოფილება.

— დღეს, 12 საათზე პირველ გიმნაზიის შენობაში დანიშნულია თფილისის ვაჟთა გიმნაზიის მე-8 კლ. მოწაფეთა კრება. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლათ დაესწრონ.

— დღეს, მეექვსე სამილიციო ნაწილის მცირე კოლექტივი მეორე კომერციულ სკოლის სადგომში მართავს ლექციას. თემა: 1, ქალთა კითხვა და სოციალიზმი, 2. მიმდინარე კითხვები.

## ბოლშევიკების ტრიბუნალის პირველი დღე

დიდი ხნის მზადების შემდეგ რუსეთის საზოგადოება, როგორც იქნა, ეღირსა ბოლშევიკების მიერ დაპირებულ რევოლუციონურ სასამართლოს, ტრიბუნალის გახსნას.

ამ რევოლუციონურ ტრიბუნალის გახსნის პირველი დღე აღსანიშნავია ისტორიაში მით, რომ პირველად მან გაარჩია საქმე დიდი სახელმწიფო დამნაშავის, ცნობილ საზოგადო მოღვაწის პანინას ქალისა.

საზოგადოთ რუსეთში უსაქმო და ცნობის მოყვარე ხალხი ბევრია და სწორედ ამას უნდა მიეწეროს, რომ ტრიბუნალის გახსნის დღეს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძის სასახლესთან აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. სამწუხაროთ დარბაზში მხოლოდ იმათ უშვებდენ, ვისაც ბილეთები ჰქონდათ. ამიტომ გარეთ აუარებელი ხალხი დარჩა. ორი დიდი საგარძელზე, მოსამართლეთა მაგიდის იქით, რომელიც გამზადებული იყო საპატიო პირთათვის, ჩამომსხდარიყვნენ რამდენიმე ჯარისკაცი და მუშები და ბოლშევიკების საგამომძიებლო კომისიის წევრი, ნაფიცი ვექილი კრასიკოვი. მობრძანდა აგრეთვე ბოლშევიკების სამართლის შემოქმედი სტუჩკა. პანინას დასაცავად, მისი თხოვნით, მოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი ი. გურევიჩი. ამას გარდა, პანინას დაცვის სურვილი განაცხადა გაერთიანებულ ინტერნაციონალისტთა ფრაქციის წევრმა კრამაროვმა.

სწორედ დღის პირველ საათზე დარბაზში გამობრძანდენ ტრიბუნალის წევრები. მათ წინ მიუძღოდა თავმჯდომარე მუშა ჟუკოვი, მან მოსდევდა ექვსი წევრი: მუშა და ჯარისკაცი. ყველა, გარდა უპარტიო ერთი ჯარისკაცისა, ტრიბუნალის წევრნი ბოლშევიკების ბანაკიდან არიან. საზოგადოება ამ სასამართლოს დანახვაზე ფეხზე არ ამდგარა.

კრება გახსნა თავმჯდომარე ჟუკოვმა, რომელმაც დიდის რიხით განაცხადა, რომ სასამართლო სასტიკათ დაიცავს ხალხის უფლებებს, მაგრამ ამავე დროს ის არ დაივიწყებს უდანაშაულოთა და მათაც დაიცავს. შემდეგ მან ბრძანება გასცა შემოეყვანათ დამნაშავე. დარბაზში სული განაბა. გვერდის კარები გაიღო და ორმა თოფიანმა დარაჯმა პანინას ქალი შემოიყვანა.

მისი შემოსვლა და მთელი დარბაზის, როგორც ერთი კაცის, ფეხზე დადგომა ერთი იყო. გაისმა დაუსრულებელი ტაში.

როგორც იქნა საზოგადოება დაწყნარდა. თავმჯდომარე ბატონმა ჟუკოვმა ბრძანება გასცა წაეკითხათ საბრალმდებლო ოქმი. ოქმი წაიკითხეს. ამ ოქმიდან სჩანს, რომ პანინა რევოლუციონურ ტრიბუნალის სამართალში მისცეს, რადგან მან არ ისურვა მიეცა ბოლშევიკებისათვის 93 ათასი მანეთი ხალხის ფული, რომელიც მის განკარგულებაში იყო, როგორც სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის. ეს ფული შეწირული იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო მიზნისათვის. მან განაცხადა, რომ ეს ფულები მიიღო ხალხიდან და გადასცემს მხოლოდ ხალხის კანონიერ წარმომადგენლებს—დამფუძნებელ კრებას. სანამ პანინა სამინისტროდან წავიდოდა ეგზეკუტორს დაავალა ეს 93 ათასი მანეთი გადაეცა ვიცე დირექტორ კოზლოვის და როჟდესტვენსკისთვის, რომლებიც შეიტანდენ მას საიმედო ადგილას. ეგზეკუტორმა ეს დავალება შეასრულა. ოქმის რეზოლუცია ასეთია: „დავინახეთ რა პანინას მოქმედებაში, რაიცა გამოიხატა ხალხის ფულის დამალვაში, სახალხო კომისარები მთავრობისადმი საბოტაჟში, საგამომძიებლო კომისიამ დაადგინა მისცეს პანინა რევოლუციონურ ტრიბუნალის სამართალში“.

შეკითხვაზე—დამნაშავეა თუ არა, პანინამ უპასუხა:

— არა, რაში უნდა ვსცნა თავი დამნაშავეთ?

სიტყვას აძლევენ ბრალმდებელს. გამოირკვა, რომ მთელ დარბაზში ბრალმდებელი არავინ იყო, ამის გამო სიტყვა დამცველ გურევიჩს მისცეს. მან მოაგონა ტრიბუნალს რა დიდი დაწესებულებაა სასამართლო, ის მიუდგომელი უნდა იყოს და სხვა. თუ სასამართლოში დამნაშავეს ისე დაუწყებს ყურება, როგორც მტერს, ეს სასამართლო კი არა, თვითგასამართლება იქნება. გასამართლება შეიძლება ან კანონის, ან სინდისის მიხედვით. ეხლა ვიკითხოთ, რომელი კანონი დაარღვია პანინამ? ძველი კანონები გაუქმებულია, ახლებს, რომლებიც ყოველ დღე გამოდიან დეკრეტების სახით, არავინ სცნობს, მაშასადამე, პანინასთან ერთად უნდა გაასამართლოთ ნახევარი რუსეთი, უნდა გაასამართლოთ ყველა, ვინც თქვენს დეკრეტებს არ სცნობს, და ასეთები მთელ რუსეთში აუარებელია. მაშ, უნდა გაასამართლოთ სინდისით, მაგრამ განა თქვენ შეგიძლიათ სინდისით გაასამართლოთ პანინა? ის პანინა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე რუსეთს, მთელ ხალხს შესწირა. მთელი წლების განმავლობაში ის მუშაობდა თავის სახალხო სახლში და მის შესანახათ ხარჯავდა რაც კი ებადა. ეხლა კი იმ კაცს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხს შესწირა ასამართლებენ, როგორც ხალხის მტერს. ეს სასამართლო კი არა, სამოქალაქო ომია. მას თქვენი არ ეშინია და ვერც შეაშინებთ, მაგრამ არ შეიძლება დაფაროთ მთელი ქვეყნის წინაშე, რომ სამართლის სახით თქვენ ძალადობას ხმარობთ. ნუ ხმარობთ ძალადობას ხალხის სახელით, ნუ არცხვენთ მას მთელი ქვეყნის წინაშე.

დამცველის სიტყვას მთელი დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა. მის ოვაცია გაუმართეს. აქა იქ ქვითინი გაისმა.

პანინას სახალხო სახლის გამგე ღრმა მოხუცი ლომოვი, ძველი ნაროდნიკი, რომელმაც დიდი ხანი გაატარა ციმბირში, სკამიდან წამოიჭრა და ტირილით მოსამართლეებისაკენ გაიქცა:

— არ შემიძლია, არ შემიძლია მე ამის გადატანა, რათ სჩადიან ამას?

მოხუცს გული წაუვიდა და გარეთ გაიყვანეს.

დამსწრეთაგან წამოდგა ს.-რევოლუციონერი ივანოვი და პანინას დასაცავად სიტყვა წარმოსთქვა. მან ნათლად დაახასიათა პანინას მოღვაწეობა, „ის მასწავლებლებს არ ქირაობდა, თვით დადიოდა ხალხში; ასწავლიდა მუშებს, ზრდიდა შვილებს. ის ანთებდა მუშების გულში ცოდნის ლამპარს, რომელსაც ერთგულათ აქრობდა თვითმპყრობელობა. ასეთი ქალი არ შეიძლება იყოს კონტრ-რევოლუციონერი, არ შეიძლება იყოს ხალხის ინტერესების გამყიდველი. შეუძლებელია ასეთ კაცს, რომელმაც ყველაფერი ხალხს მისცა, ხალხი სამაგიეროთ ასე მოექცეს და ასე დაუფასოს მისი მოღვაწეობა. არ შეარცხვინოთ რევოლუცია და რუსეთის ხალხი. არ გაამტყუნოთ პანინა.

ამ სიტყვამ ისეთი ოვაცია გამოიწვია დარბაზში, რომ ხალხი დიდხანს ვერ დააწყნარეს.

ბოლოს გაისმა ბატონ თავმჯდომარეს ხმა:

— მოქალაქე პანინა, თანახმა ხართ დააბრუნოთ სამი დღის განმავლობაში თქვენ მიერ გადამალული 93 ათასი მანეთი?

— მე უკვე ვსთქვი, რომ ეს ხალხის ფულია, შეტანილია სამინისტროს სახელზე საკრედიტო დაწესებულებაში და ფულებს არ გადავცემ სხვა ვინმეს, გარდა დამფუძნებელ კრებისა,—უპასუხა პანინამ.

— სიტყვა ეკუთვნის მუშა ნაუმოვს, რომელმაც მოისურვა ბრალმდ. როლში გამოსვლა,—გამოაცხადა თავმჯდომარემ. ბატონმა ნაუმოვმა დიდის რიხით დაიწყო თავის საბრალმდებლო სიტყვა. მთელ თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ პანინა იმ კლასის წარმომადგენელია, რომელსაც ებრძვის პროლეტარიატი და იმ გარემოებამ არ უნდა შეგვაშფოთოს, რომ ამ ბრძოლაში გზაში შეგვხვდებიან კერძო კეთილი პირები.

თავის უკანასკნელ სიტყვაში პანინამ წინათ ნათქვამი გაიმეორა.

სასამართლო თათბირზე გავიდა. ნახევარი საათის შემდეგ მოსამართლეები დარბაზში გამობრძანდენ და თავმჯდომარემ წაიკითხა შემდეგი განაჩენი: „სამხედრო რევოლუციონურმა ტრიბუნალმა დაადგინა დასტოვოს საპყრობილეში პანინა მანამდე, სანამ ის განათლების სამინისტროს კასაში არ შეიტანს მის მიერ გადამალულ 93 ათას მანეთს. ვსცნობთ რა პანინას დამნაშავეთ მთავრობის საბოტაჟში და სახალხო კომისარების წინააღმდეგობის გაწევაში, რევოლუციონურმა სასამართლომ გაითვალისწინა რა მისი წინანდელი მოღვაწეობა, დაადგინა: გამოუცხადოს მას მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვა“.

პანინას გრანდიოზულ ოვაციას უმართავს საზოგადოება.

ასე სამარცხვინოთ დასრულდა ბოლშევიკთა რევოლუციონური ტრიბუნალის პირველი, დიდი ავაზაკის და ხალხის მოღალატე, ხალხისთვის თავდადებულ და საზოგადო მოღვაწის გასამართლება.

## კავკასიის ჯარის დელეგატთა მე-2 ყრილობა

(გაგრძელება).

ა. სმირნოვის შემდეგ მოხსენებას აკეთებს № კორპუსის დელეგატი, რომელიც სთხოვს ყრილობას, რაც შეიძლება მალე შექნას ორგანო, რომელიც აიღებს თავის ხელში სარიყამიშის აქეთ მთელი ჯარის ხელმძღვანელობას, ვინაიდან ფრონტზე არსებული ორგანო —„გამცვლელი კომიტეტები“ (комитеты по отводу“) ავრცელებს თავის მოქმედებას მხოლოდ სარიყამიშამდე. მოხსენებიდან ირკვევა, რომ მდგომარეობა ფრონტზე მეტათ სერიოზულია; „გამცვლელი კომიტეტები“ აცხადებენ, რომ ისინი არავითარ გარეშე მთავრობას არ იცნობენ და ყრილობის ან კავკასიის საბჭოს (ახალ შედგენილის) არავითარ განკარგულებებს სისრულეში არ მოიყვანენ; საშიშროა ბევრი ენერგიული კაცები ფრონტზე. ამიტომ მომხსენებლის აზრით, რაც შეიძლება მალე უნდა გათავდეს ყრილობა..

ყრილობა ადგენს, აირჩიოს პარიტეტულ (თანასწორ წარმ.) საფუძველზე დროებითი აღმასრულებელი ორგანო, რომელსაც დაევალება ყველა პრაქტიკულ ხასიათის წინადადებების ასრულება, რომელიც პრეზიდიუმში იქნა შეტანილი. მწვავე ხასიათს ღებულობს საკითხი, რომელ ფრაქციას მიეკუთვნოს უპარტიონი და უკრაინელები, რომლებიც ყრილობაზე იმყოფებოდენ. ბოლოს თავმჯდომარე დროებით სწყვეტს კრებას, რათა ფრაქციათა ბიუროს დრო მიეცეს შესათანხმებლათ. კრების განახლების შემდეგ კრება იღებს შეთანხმებულ სიას დროებ. აღმ. ორგანოისას, რომელშიაც შედიან შემდეგი პირები: ს.-დ.—დან (გაერთიანებ.)—ამხ. ა. სმირნოვი, მაკაროვსკი, კორგუშკინი და პიკოვაროვი; ს.-რ.—დან—პიქოვი, დენეჟკინი, გაბუნია, რიფი, მუშლიაკოვი და პომერანცევი; დაშ—დან—მ. არზუმანოვი და მაკარიანცი; ბოლშ.—დან შაუმიანი, მამულია, ჩელიაძინი, კორდინოვი, სემიონოვი, ქავთარაძე და განინი; „მემარცხენე“ ს.-რ.—დან კოლომიცევი და ეპშტეინი.

არზუმანოვი, აქვეყნებს „კავკაზსკი რაბოჩის“ შაუმიანის სტატიას, რომელიც რუსის სალდათებს უსისიანებს ქართველ და სომეხ ჯარისკაცებზე და უთითებს რა შაუმიანს ფრაქციათა შეთანხმებაზე ბოლშევიკების კავკასიის კომიტეტთან, ეკითხება მას, იცის თუ არა მან ამის შემდეგ, რას აკეთებს იგი. შაუმიანი იღებს სიტყვას და კიდევ უფრო აღრმავებს იმ დებულებებს, რომელიც მას სტატიაში აქვს გატარებული. იგი ცდილობს თავი იმართლოს იმით, რომ მას 15 წელია აქ იცნობენ, როგორც რევოლუციონერს, და განაგრძობს, რომ მხოლოდ მენშევიკების ნაციონალისტური პოლიტიკა გამოიწვევს ფრონტის დაცარიელებასო. შესაფერ პასუხს სცემს შაუმიანს ამხ. ეგ. გეგეჭკორი, რომელსაც ბოლშევიკები ხშირათ აწყვეტინებენ ლაპარაკს.

**ამხ. ე. გეგეჭკორი.** (კრება მას ტაშის ცემით და ოვაციებით ხვდება). ამხანაგებო! სულიერ მწუხარებას და ტკივილს ვგრძნობ მე, რომელსაც გამოვდივარ ეხლა თქვენს წინაშე. იმისთვის კი არ ვგრძნობ მე მწუხარებას, რომ აქ ბრალდება წამოუყენეს პარტიას, რომელსაც მე ვეკუთვნი, არა, ბრალდებას ჩვენ დიდი ხანია შევეჩვიეთ. გული მტკივა იმიტომ, რომ ძნელი მოსასმენი იყო შაუმიანის სიტყვა, რომელიც ოდესღაც თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებდა. არა მშრალი სიტყვებით, არამედ დოკუმენტებით ხელში, სტენოგრაფიულ ანგარიშით დავამტკიცებ მე, რომ შაუმიანისეურ სიტყვას სახელმწიფო სათათბიროში პურიშკევიჩი და მარკოვი ამბობდენ! (ტაში). ყველაფერი ეს არ ახალია! 1906 წელს სალდათების შეუგნებელი მასა იმავე ლოზუნგებით მიდიოდა საქართველოზე, რომელ ლოზუნგებსაც დღეს შაუმიანი ისვრის: „ქართველებს გამოყოფა უნდათ“, „ქართველებს უნდათ თავისი საკუთარი მეფე“, „აჰა, ქართველებს!“ და მდინარესავით დაიღვარა ქართ. დემოკ. სისხლი, მაგრამ მას, დარბეულ დემოკრატიას, ღრმად სწამდა, რომ შეუგნებლათ აღმართული რუსის სალდათის ხელი არ მოხვდება მას, როდესაც მოაღწევს რევოლუციის დღესასწაულის დღე და მხნეთ აჰტრებ-

და გულში რევოლიუციონურ ალს, რომელიც ქართველმა დემოკრატიამ ჩაუქრობლად მოიტანა 1917 წლამდის. ეს იცის შაუმიანმა! ის იგონებს მას, რომ იგი 15 წლის წინად იყო რევოლიუციონერი; მაგრამ, ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ტიხომიროვიც 15 წლის წინად იყო „ხალხის თავისუფლების“ პარტიის წევრი (народоволецъ), და შემდეგ ნაციონალისტად და პროვოკატორად გადაიქცა! შაუმიანი ამბობს, რომ ქართველი ს. დემოკრატები ნაციონალისტებია; მე ვაცხადებ, რომ ეს სამარცხვინო სიცრუეა. ჩვენ ყოველთვის ვისწრაფოდით და ეხლაც ვისწრაფვით რუსეთის მთლიან რევოლიუციონურ ფრონტის შექმნისაკენ. როდესაც თქვენ გვლაპარაკებიან, რომ ქართველებს გამოყოფა უნდათ მაშინ, როდესაც მათ ასეთი მისწრაფება არა აქვთ; გვლაპარაკებიან რა ამას მაშინ, როდესაც ბ. შაუმიანის თანამოაზრე ჯუღაშვილი-სტალინი აცხადებს ნაციათა თვითგამორკვევის უფლებას რუსეთიდან სრულ განცალკევებამდის, მე ვამბობ, რომ ყოველგვარ უსირცხვილობას თავისი საზღვარი აქვს... (ხმაურობა). თქვენ ტყუილათ მიშლით: მე არ ჩამოვალ ტრიბუნიდან მანამდის, სანამ არ ვიტყვი მას, რაც ვალდებული ვარ ვსთქვა. ჩვენ ვფიცავთ, რომ ბოლო მოვუღოთ სამოქალაქო ომს, რომელიც ბ. შაუმიანის ამხანაგებმა შექმნეს, და ამ ლოზუნგს ჩვენ არ დავსთმობთ—ან დავიხოცებით, ან გავიმარჯვებთ! შეიძლება, ბევრს არ ესმის, რომ ბ. შაუმიანს უნდა სალდათების მასსა წაუსისინოს ქართველ და სომეხ მცხოვრებლებს, მაგრამ გაივლის ცოტა დრო და ყველა დაინახავს, რომ იგი აკეთებს პროვოკატორის საქმეს. ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენი ხალხი და ქვეყანა წარმოადგენს განუყოფელ ნაწილს დიდი რუსეთის რესპუბლიკისას; რომ ამიერ კავკასიის ერები—ნაწილია რუსეთის დემოკრატიისა და ჩვენმა დემოკრატიამ თავისი ბედი დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიის ბედს.. მე მარცხნიდან მეკითხებიან: „ნაციონალური პოლკები“? იცით, თუ არა, რომ ლენინი და ტროცკი ნაციონალურ საკითხის გადაჭრას „ნაციონალური პოლკების“ შექმნაში ხედავდნენ? სანამ ლენინი მოექცეოდა მთავრობის სათავეში, ჩვენ გვქონდა ერთი რუსეთი, გვყავდა ერთი ჯარი. თუ რა მდგომარეობაა დღეს ფრონტზე, თქვენ უკვე მოისმინეთ ფრონტის დელეგატის პირით (ხმა მარცხნიდან: „ეს კომისარიატის მეოხებით!“).. დასავლეთის ფრონტზედაც კომისარიატის ბრალია? აქ არის [illegible]. ფრონტის დელეგატები, რომლებიც გეტყვიან, თუ როგორ გარეკეს ლენინელებმა ჯარი ფრონტიდან. რა გაუკეთეს მათ რუსეთს? ისინი არ დაკმაყოფილდნენ თავისუფლების დაცვით, მათ ჩაკლეს ყველაფერი, რაც კი შეძლეს. სადაა სიტყვის თავისუფლება, თავისუფლება სიტყვის? (ხმაურობა. ხმა მარცხნიდან: „აცალეთ, დაათავოს ბ. მინისტრმა“). მე არა ვარ მინისტრი; მე ჩვეულებრივი წევრი ვარ პარტიისა. უმაღლეს პოსტზე მე დამნიშნა კავკასიის ცენტრმა, რომელმაც მომცა მე მანდატი და როდესაც ეს ცენტრი არ მცნობს მე პასუხისმგებელ პირათ—მე წავალ ამ პოსტიდან... მე მოვიყვან ფაქტს, რომელიც იცის ბ. შაუმიანმა: ცხაკაიას,—პატიოსან მოხუცს,—როგორადაც წამოაცდა: ბ. შაუმიანი დანიშნულია კავკასიის კომისრათო! დიდადაც ძნელია იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელმაც ფორმალურათ მიიღო ძალა-უფლება, მაგრამ მთავრობასთან კი არავინ უშვებს (ტაში, სიცილი, ბოლშევიკების ჯგუფი [illegible] შაუმიანს და ტაშს უკრავენ). შეიძლება, შაუმიანმა ფაქტიურათაც მიიღოს მთავრობის ძალა უფლება, მაგრამ მიიღებს ამას მხოლოდ იმ სისხლის დანთხევით, რომელსაც იგი ეძებს და შეიძლება, მისი ასეთ მისწრაფებით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ყოფილი რევოლიუციონერი შაუმიანი პროვოკატორ შაუმიანათ იქცა (ხმაურობა და სიცილი, თავმჯდომარე ზარს რეკავს და რამდენჯერმე ელაპარაკება ამხ. გეგეჭკორს). თავმჯდომარის თხოვნით, მე ბოდიშს ვიხდი კრების წინაშე: ამხანაგებო! შეიძლება, ბევრ თქვენთაგანმა გაყვეს შაუმიანის ლოზუნგებს. მაგრამ, იფიქრეთ, სანამ ამ ლოზუნგს გაყვებოდეთ,—ღირს თუ არა იგი იმ სისხლის ფასათ, რომელიც მას სწყურია!.. (ტაში).

თავმჯდომარე აცხადებს, რომ პრეზიდიუმს არ ეგონა, თუ ასე გამწვავდებოდა საქმე; მან სიტყვა მხოლოდ შაუმიანის წერილის შესახებ მისცა.

## რუსეთის სოც.-დემ. მუშ. პარ. (გაერთიანებული) საგანგებო ყრილობა

(დასასრული).

5 დეკემბრის კრებაზე ყრილობამ მოისმინა ჩერევანინის მოხსენება მუშათა კონტროლის შესახებ. მწარმოებელთა მხრით საბოტაჟმა მუშებში გამოიწვია მრეწველობის წარმოებათა სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევა.

როგორ უნდა მოექცეს პარტია მუშათა კონტროლს? უნდა ვიმუშაოთ მუშათა კონტროლში და ხელი შევუწყოთ წარმოების საქმის მოწესრიგებას, უნდა ვეცადოთ მცხოვრებთა ფართე მასამ მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში, უმთავრესათ გლეხებმა. უკეთუ მუშებმა მოინდომეს ფაბრიკა-ქარხნების ძალით ხელში ჩაგდება, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ამას და მხოლოდ ამ იდეის განხორციელების შემდეგ დავიცვათ მუშათა კონტროლი.

მაისკი წინააღმდეგია მომხსენებლის და ამბობს, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ მუშათა კონტროლს და შევქმნათ სახელმწიფოებრივი კონტროლი.

კამათის შემდეგ ყრილობა ღებულობს ჩერევანინის რეზოლიუციას მუშათა კონტროლის შესახებ, რომ ის ბადებს მუშებში ანარქო-სინდიკალისტურ ილიუზიას და ხელს უშლის წარმოების სახელმწიფოებრივ მოწესრიგების საქმეს, რადგან ეს იწვევს კერძო ფაბრიკა-ქარხნების მუშათა ინტერესების, სახალხო მეურნეობის ინტერესების წინააღმდეგ უთანხმოებას.

ამის გამო სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (გაერთიანებული) საგანგებო ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიულ მუშაკებს, ენერგიულად ებრძოლონ და აგიტაცია გასწიონ მუშებში ეკონომიურ ცხოვრების სახელმწიფოებრივ სისტემით მოწესრიგების შესახებ და აუხსნან თუ რა დამღუპველი მნიშვნელობა აქვს „მუშათა კონტროლს“ პროლეტარიატისათვის. ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიულ მუშაკებს უარი არა სთქვან „მუშათა კონტროლში“ მონაწილეობაზე, რომ ამ გზით ებრძოლონ ქარხნულ სეპარატიზმს და „მუშათა კონტროლი“ მრეწველობის სახელმწიფოებრივ მოწესრიგების საქმეთა ორგანოებს დაუქვემდებარონ და ხელი შეუშალონ მუშების მიერ ქარხნების ძალით ხელში ჩაგდებას.

ამ შემთხვევაში, თუ ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებმა და მუშათა კონტროლის ორგანოებმა მოინდომეს წარმოების ძალით ხელში ჩაგდება, ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის წევრებს გამოვიდნენ ამ ორგანოებიდან.

6 დეკემბრის კრებაზე ყრილობამ 62 ხმით წინააღმდეგ 7 ხმისა მიიღო აბრამოვიჩის რეზოლიუცია ზავისა და დროებით შერიგების შესახებ.

შემდეგ ამხ. გორევმა წაიკითხა ინტერნაციონალური მიმართვა, რომელიც ყრილობის დავალებით შეიმუშავა კომისიამ. ამ მიწოდებაში ყრილობა მიმართავს საერთაშორისო პროლეტარიატს და აცნობს რუსეთში არსებულ ტრაგიკულ მდგომარეობას. ამასთან ოქტომბრის ამბებს ახასიათებს, როგორც სახ. შეთქმულობას და ბოლშევიზმს როგორც ანარქიულ მიმდინარეობას, რომელიც არავითარ საშუალების წინ არ იხევს თავის მიზნების განსახორციელებლად და მით სამარეს უთხრის რუსეთის რევოლიუციას.

მიმართვის დასასრულ ყრილობა მოუწოდებს ინტერნაციონალის განსაახლებლად მოიწვიონ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

მიმართვის პროექტის წინააღმდეგ არავის არაფერი უთქვამს, ინტერნაციონალისტებსაც კი. დანისა და სხვების წინადადებით გადასწყვიტეს მიმართვის პროექტი კომისიას გადასცენ უკანასკნელ რედაქციისთვის და უფლება მიეცა ყრილობის სახელით გამოაქვეყნოს ის.

შემდეგ ყრილობა შეუდგა საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში შესვლის შესახებ საკითხის განხილვას.

ერმანსკი—აუცილებელ საჭიროებათ სთვლის საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებში შესვლას, რადგან საბჭოები ის ცენტრია, რომლის გარშემოკრებილია პროლეტარიატის მასსა. რომ მენშევიკები შევიდნენ საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, გაერთიანებულ სოციალდემოკრატ ინტერნაციონალისტებთან და მემარცხენე ს.-რევოლიუციონერებთან ერთად შექმნიან ერთ დიდ-ძალას და ბოლშევიკურ ტაქტიკას წინ დაუყენებენ.

დანი—წინააღმდეგია საბჭოში შესვლის, რადგან, მისი აზრით, იგინი უკვე ჰკარგავენ მნიშვნელობას და პოლიტიკურ ასპარეზიდან გადიან.

ლიბერი—ამტკიცებს, რომ პოლიტიკურათ კლასობრივი ბრძოლა უფრო მეტ ორგანიზაციულ გამოხატულებას ხედავს დამფუძნებელ კრებაში და საყოველთაო ხმით არჩეულ ადგილობრივ თვითმართველობებში. ლიბერის სიტყვით საბჭოები გადაგვარების გზას დაადგნენ და ეხლა მხოლოდ ავანტიურიზმის იარაღათ გამხდარან. დემობილიზაციის შემდეგ, როცა ჯარისკაცების მასსა აღარ იქნება, საბჭოები სრულიად მოისპობიან.

მარტოვი ამბობს, რომ საბჭოებს ეხლაც დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი რევოლიუციონური როლი ჯერ არ გათავებულა და ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, მაგრამ ეხლა იქ შესვლა არ არის ხელსაყრელი, რადგან დღეს ის ეხლა შირმაა, რომელიც ფარავს სახალხო კომისრების თვითმპყრობელობას. მაგრამ შესაძლებელია გარემოება შეიცვალოს და თუ ეს მოხდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უფლება უნდა მიეცეს გაგზავნოს იქ თავისი წარმომადგენლები.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ ასეთ გამწვავებულ რევოლიუციონურ ბრძოლის დროს, როცა რევოლიუციის საქმე გადაწყვეტილი არ არის, საჭიროა საბჭოებს და სხვა თავისნებით მომქმედ ორგანიზაციების ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებთან შეთანხმებული მუშაობა. ამიტომ ყრილობა ადგენს, რომ პარტიის წევრები არ შევიდნენ საბჭოების ადმინისტრატიულ დაწესებულებებში, იქ სადაც ისინი ბოლშევიკების მთავრობის ორგანოთ გახდა და დანარჩენ საბჭოებში, რომ ხელი შეუშალონ ტერორს და ანარქო-სინდიკალისტურ გამოსვლებს. პარტიის წევრები არამც და არამც არ უნდა შევიდნენ სამხედრო რევოლიუციონურ კომიტეტებში, არც დაცვის კომიტეტებში, რომლებიც მთელი დემოკრატიის შეთანხმების პლატფორმას არ ღებულობენ, მათ შეუძლიათ მხოლოდ მონაწილეობა მიიღონ ისეთ სამხედრო ორგანიზაციებში, რომლებიც სდგანან მთელი დემოკრატიის შეთანხმების ნიადაგზე და მიზნათ ისახავენ სამოქალაქო ომის თავიდან აცდენას. მიიღონ ენერგიული მონაწილეობა ადგილობრივ თვითმართველობებში და მთელი ძალღონით ებრძოლონ ბოლშევიკების მიერ მათი გარეკვის წინააღმდეგ, და ეცადონ ეს ორგანოები არ ჩაერიონ სამოქალაქო ომში. ჯერ, სანამ ადგილობრივ ცენტრალურ მთავრობის შედგენის საკითხი გადაწყდებოდეს, პარტიის წევრებს შეუძლიათ, სადაც ამით შეიძლება სამოქალაქო ომის თავიდან აცდენა, ხელი შეუწყონ დროებით მთავრობის ორგანოების შედგენას.

რეზოლიუციის მიღების შემდეგ ლიბერი რიგს გარეშე აცხადებს ობორონცების სახელით, რომ მიღებული რეზოლიუცია პარტიის დაღუპვისაკენ მიაქანებს, ამიტომ ობორონცები დარჩებიან პარტიაში და დაუნდობელ ბრძოლას გაუწევენ ინტერნაციონალისტებს. ამ განცხადებამ ყრილობის უმრავლესობის გაოცება გამოიწვია, რადგან ის არღვევს ყრილობის ორი კვირის მუშაობას პარტიის მთლიანობის შესახებ.

ფრაქციულ თათბირის შემდეგ 7 დეკემბერს ყრილობამ აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი შემდეგ პირებისაგან: მარტოვი, დანი, გორევი, წერეთელი, ჩხეიძე, მარტინოვი, ეოლინსკი, ასტროვი, პინკევიჩი, სემკოვსკი, მაისკი, აბრამოვიჩი და სხვ. ორი ადგილი მისცეს ბუნდს და ორი კავკასიის ორგანიზაციებს.

აქსელროდის მისალმების დეპეშის წაკითხვის და აბრამოვიჩის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ ყრილობა იხურება ინტერნაციონალის სიმღერით.

## მუშათა შორის

ტფილისი 11 დეკემბერს დანიშნული იყო ტფილისის საპარიკმახეროების მუშათა კრება, სამწუხაროთ, მეტად ძნელია დასახელებულ მუშათა კრების მოწვევა, რადგანაც ამხანაგები გულ გრილათ ეკიდებიან საერთო საქმეს. ჩვენი კავშირის გამგეობამ ყოველგვარ ზომები მიიღო მის მოსაწვევათ: სამმა ამხანაგმა (გამგეობის წევრებმა). ორშაბათს დილით (11 დეკემბერს), საღამომდე თითქმის შემოიარეს მთელი ტფილისის დალაქ-პარიკმახერთა სახელოსნოები, შეატყობინეს ამხანაგებს, რომ აუცილებლათ დაესწრებოდნენ კრებას, კრებაზედ გამოცხადდა კავშირის წევრთა ნახევარზე მეტი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ქ. მხეიძე, მდივნათ კავშირისავე მდივანი ლ. ქ—რია. დღის წესრიგი იყო პროფესიონალური კავშირის მნიშვნელობა (მოხსენება უნდა წაეკითხა ამხ. სლუცკის); არჩევნები მუშათა დეპუტატების საბჭოში; მიმდინარე საქმეები. ჩვენშიდაც გამოჩნდენ რამოდენიმე ვითომდა ბოლშევიკები, (3—4 კაცი), რომლებსაც კრებაზედ მოეწვიათ თავიანთი ბელადი თ. კალანდაძე. კალანდაძე წინადადებას იძლევა პირველ კითხვაში დაესვათ მიმდინარე მომენტი, მოვახდინოთ არჩევნები და მერმე სხვა კითხვებზე გადავიდეთო. თავმჯდომარე შენიშნავს: ვინაიდან არ არის სამანდატო კომისიის წევრი და უმისოთ არჩევნები უკანონო იქნება, დარჩეს დღიური წესრიგი ისე, როგორც არისო და თუ მოვა სამანდატო კომისიის წევრი, არჩევნები მერმე მოვახდინოთო. კალანდაძე კი იმეორებს: გადმოიტანეთ კამათი მიმდინარე მომენტზედო. კრება ღებულობს თავმჯდომარის წინადადებას. ამის გამო კალანდაძე კრებას სტოვებს. დაინახეს რა კალანდაძის წასვლა ვითომდა ბოლშევიკებმა (ნაცვლიშვილმა და ბედუკაძემ) მორთეს ყვირილი: „ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგო“.

წამოდით ამხანაგებო, წავიდეთ, არ მოვიცადოთ ამ კრებაზედო—დაიძახეს ეს ვაჟბატონებმა. მათ გაყვა ისეთი პირები, რომელთაც არავითარი საერთო არ აქვთ არც ბოლშევიზმთან და არც მენშევიზმთან. წავიდნენ ისეთები, (ერთი-ორის გამოკლებით) რომელთაც ცირკში და ან სახლში ეჩქარებოდათ. ამხანაგთა უმრავლესობა მათ მოქმედებას არ აყვა. ნაცვლიშვილი და ბედუკაძე ყვიროდნენ: წავიდეთო და თითონ კი არ მიდიოდნენ! ამის გამო ამხ. სლუცკის წევრთავე საშუალება გაეცნო კრებისთვის კავშირის მნიშვნელობა. ამ დროს მოვიდა სამანდატო კომისიის წევრი ამხ. ბადრიძე. არჩევნები დაფარული კენჭის ყრით მოხდა. არჩეულ იქნენ ამხ. ლავრენტი ქ—რია და ზ. მახაროვი. ბოლშევიკები დაემუქრნენ: არჩევნებს ჩავშლითო, ვნახოთ! შემდეგ კრებამ იქონია სხვა და სხვა მიმდინარე კითხვებზე მსჯელობა და ღამის პირველ საათზე დაიშალა. სასურველია საერთო კრებები ხშირათ იმართებოდეს.

რიხსვა.

კვარცხანის ქარხნის 240 მუშას 13 დეკემბერს დათხოვნა გამოუცხადეს. ამ მოვლენამ მუშები საგონებელში ჩააგდო და არ იციან რა გზას უნდა დასდგომოდნენ.

მოხდა პროფესიონალური კავშირის კომიტეტის წევრთა არა ჩვეულებრივი კრება, იქონიეს მსჯელობა: დამღუპველია ასეთ სასტიკი სიძვირის დროს და ისიც ზამთრის პირად ამოდენა მუშების ქარხნიდან დათხოვნა. ამიტომ აირჩიეს დელეგატები და გაგზავნეს დირექტორთან (აქვე ქარხანაში) დასათხოვ მუშების მიზეზის გამოსარკვევათ. დელეგატებიც მალე დაბრუნდნენ და დირექტორის პასუხი კრებას გააცნეს: „ჩვენ მუშებს იმიტომ ვითხოვთ, რომ სპილენძს არავინ ყიდულობს და ისე ფული არ გვაქვს; არც სანოვაგე გვეშოვება საკმარისათ; ამისათვის აღნიშნული მუშები აუცილებლათ უნდა იქნან დათხოვნილიო“. ამ პასუხმა ცეცხლზე ნავთი გადაასხა. მუშები კიდევ უფრო საგონებელში ჩავარდნენ. კრებამ აირჩია ორი დელეგატი ბათუმის სამოქ. ქარხნების ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნათ. ისინი გაეცნობიან როგორ უნდა მოექცნენ ამ საკითხს. (დელეგატები მეორე დღესვე წავიდნენ ბათუმში და თუ საჭიროება მოითხოვს, ტფილისშიც წავლენ). დირექტორს ხელმეორეთ პროფესიონალურ კავშირის კომიტეტის კრებიდან შემდეგი დადგენილება გაუგზავნეს: სანამ დელეგატები ბათუმიდან არ დაბრუნდებიან, მანამდე შეჩერებული იქნას მუშების დათხოვნა.

როცა შრომის სამინისტრომაც საქმე გამოარკვევა, მუშების დათხოვნა თუ აუცილებელი შეიქნა, ამ შემთხვევაში კვარცხანის პროფესიონალურ კავშირის კომიტეტმა უნდა გაარჩიოს.

კვარცხანის ადგილ. წაბლის ქარხნის ადმინისტრაცია, როგორც მოვჰრიანებია, ისე მოქმედობს, თავის განზრახვას ელექტრონის სისწრაფით ასრულებს მუშების წინააღმდეგ, მაგრამ არც მოწინავე პირებს სძინავთ. ფეხზე დგათ დგანან პასუხის გასაცემათ მათ ხრიკებზე. ვნახოთ რით დამთავრდება ეს საქმე.

ივანე გოთრგაძე.

## კახეთის რკინის გზა

ეხლა უპატრონოს აღარ ვწერ ამ გზას შესახებ მიტომ, რომ პატრონი გამოჩნდა და ეს პატრონი არის ქართველი ჯარისკაცები, რომელთა წყალობით შეწყდა ის უწესოებანი, რომელსაც წინეთ ქონდა ადგილი. პირველ დღეს, როდესაც ქართველი ჯარისკაცები წამოვიდნენ წესრიგის დასაცავათ, მშვენიერ სანახაობას წარმოადგენდა, ყველა ვაგონს კარებთან იდგა თითო ორ-ორი ჯარისკაცი და კონდუქტორი. ის „სალდასტები“, რომლებიც წინეთ კონდუქტორს ქუდზე უჩვენებდა ბილეთის თხოვნის დროს, ეხლა ამ წესრიგის დამცველებს შეჰყურებდენ და ვერ გამორკვეულიყვნენ თუ რა მოხდა. როცა გამოერკვნენ, რომ მათ ბატონობას ბოლო ეღებოდა, მოკურცხლეს ბილეთების საყიდლათ. კახეთის პირველ სადგურის წინ ფრიად გრძელი კუდი გაკეთდა. გზაში ყოველ სადგურზე თითო-ოროლა ჯარისკაცს ტოვებდენ. ხალხი აღფრთოვანებით ხვდებოდა, მოსამსახურეებმაც თავისუფლათ ამოისუნთქეს.. სადგურ მუღანში იყო დიდი ამბავი. როდესაც მატარებელი გაჩერდა, სალდათებმა ალყა შემოარტყეს: თქვენ უნდა გენახათ როგორი შეძრწუნდა მთელი მატარებელი, კინაღამ უბედურება დატრიალდა. წინარის უკანა ვაგონში ვიღამაც შიგნიდან დაიწყო სროლა. ასტყდა საშინელი აურ-ზაური, ხალხი შიშმა მოიცვა: ვინ სად გარბოდა, ვინ სად. ეს ყაჩაღ-დეზერტირები შეძრწუნდნენ და ლანძღვა-გინებით იხსენიებდენ ქართველ ჯარისკაცებს; ჯარისკაცებმა თავი დაიჭირეს და სროლას პასუხი არ გასცეს. ამით ის უბედურება, რომელიც მოყვებოდა იმ სროლის პასუხის გაცემას, თავიდან აგვიშორეს.

წეს-რიგი თანდათან მყარდება. ერთი უბედურება დატრიალდა სადგურ გურჯაანში. ერთ ამხანაგ ჯარისკაცს დააგვიანდა მატარებელში ჩაჯდომა და გამოუდგა, რომ შემხტარიყო. მაგრამ საუბედუროთ, ხმალი მოედო ასასვლელ კარებს და გადმოაგდო დაბლა, რომელიც ვაგონის ქვეშ შევარდა, საბრალომ სული იქვე დალია.

ის არა მეტრე პატრონები, რომლებიც წინეთ ეპატრონებოდნენ რკინის გზას, ახლა [illegible] ჯარისკაცებზე, რა არის სახელი გაუტეხონ ჯარისკაცებს და თავი დაანებონ წესრიგის დაცვას. ამხ. ჯარისკაცები, იმედია, არ ათხოვებენ ამ ჭორებს ყურს და განაგრძობენ თავის კეთილ საქმეს. თუმცა მატარებელში წეს-რიგი დამყარდა, სამაგიეროთ, კასებში ხდება უწესოება. ტფილისის სადგურზე ბევრი უბილეთოთ რჩება; „კასირში“ გვიან მოდის და ყველას ბილეთის მიცემას ვერ ასწრებს, ამიტომ ბევრი რჩება მეორე დღემდე და ბევრი უბილეთოთ მიდიან ნავთლუღამდე, იქაც ბევრ შემთხვევაში არ აძლევენ ბილეთებს და ასე, მგზავრები რჩებიან უბილეთოდ, მაგალითად, 17 დეკემბერს ორმოცზე მეტი მგზავრი უბილეთოდ წამოვიდნენ. ვაზიანამდე რა არის „კონტრამარკაც“ კი არ მისცეს მგზავრებს, რაც სადგურის უფროსის დაუდევრობას მიეწერება. არც მატარებელში გაშინჯვის საქმეა კარგათ დაყენებული, მაგალითად, ერთ თავიდან იწყებს უფროსი კონდუქტორი შინჯვას და ვერ ასწრებს სამ-ოთხ სადგურამდე. 14 დეკემბერს თვით აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ შეამოწმა და საგარეჯომდე მხოლოდ ექვსი ვაგონის გაშინჯვა მოასწრო, თანა დარჩა. ხომ შესაძლებელი იყო მანამდე მგზავრების უბილეთოდ მგზავრობა; საჭიროა ყოველ კონდუქტორს შეეძლოს თავის ვაგონში ბილეთების შემოწმება. ამით საშუალება ესპობათ იმოგზაურონ უბილეთოდ. აგრეთვე საჭიროა არის „კონტრამარკაც“ ქონდეთ, რომ პლატფორმებიდან მგზავრებს ფული გადაახდევინონ და „კონტრამარკა“ მისცენ. საჭიროა მეტი ყურადღება.

მოვუწოდებ ამხანაგ მოსამსახურეებს და ჯარისკაცებს პირ-ნათლათ შეასრულონ თავიანთი დაკისრებული საქმე.

ხაფარელი.

## პროვინციის ცხოვრება

ხოფ. ხაში, 18 დეკემბერს საღამოს ყრილობაზე ხაშის საზოგადოებამ ერთხმად დაგმო ბოლშევიკების [illegible] გამოსვლები წყევლა და კრულვა შეუთვალეს მათ, ვინც ძმათა [illegible] ხალხს და ბნელ ძალებს „პოგრომჩიკებს“ აქეზებს საერთაშორისო სოლიდარობისა და წმინდა საქმის წინააღმდეგ.

ამავე კრებაზე მოისმინეს მოხსენება საგანგებო კომისიისა ადგილობრივი ნათლისმცემლის მონასტრის ქონების შესახებ. კომისიაში მოწვეული იყვნენ ს. პატარძეულის კომისარი ყუშიტაშვილი და უჯარმის კომისარი აბულაშვილი და ადგილობრივი აღმასრულებელ კომიტეტის საბჭოს წევრნი და კომისარი. გამოირკვა, რომ ზემოხსენებული მონასტერი თავისი ქონებით სოფ. ხაშმის საზოგადოების მიერ ყოფილა შეწირული, მაგალითად ზვრები, წისქვილი, მარანი, სკოლის დასადგომი შენობები—რევოლიუციის პირველ დღიდან ორი მოლარე გაიქცა. აგეთ იქ მოსამსახურე მწირი ბერებიც დაამტკიცებენ მათ უზნეო მოქმედებას და მონასტრის ქონების გაფლანგვას და უყურადღებობით ახარებს. ზარალის მეტი მათ მონასტრის ქონებისთვის არა მოუმატებიათ რა, როგორც ძველებს, ისე ახლებს. წისქვილი იქცევა, არხი სულ დანგრეულია და შკოლა მიკეტილია.—ზვრები ამოვარდნილია, საქონელი გატაცებული, მოპარული და გაყიდული. ხაშმის საზოგადოების მინდობილობით კომისიამ დაადგინა: 1) დარჩნენ მონასტერში ორი მწირი ბერი და ერთი მოჯამაგირე, რომელთაც ებარებათ მონასტერი, ოთხი სული ხარი და კამეჩი—სადგომი სახლკარი ეზოთი. მათ მიეცემათ საზრდო იმ ქონებიდან, რომელიც დღიდან გადაეცა სოფ. ხაშ. საზ. შემხ. გამგეს. ბანკს. დღიდან ამ ზემოხსენებულ ქონების პატრონი იქნება ბანკი და მისი შემადგენლობა. დღიდან ბანკს დაევალა—გადაეკეთოს წისქვილი, სკოლა—სამეურნეო განყოფილებათ და მთელი შემოსავალ-გასავალი ამ ქონებისა აწარმოვოს ცალკე, ვიდრე საბოლოოდ გამოირკვევამდე—და ხაშმის საზოგადოების დაუკითხავათ არავინ არ გამოიგზავნოს ამ მონასტრის ბატონ პატრონათ. დადგენილების პირი კომისიის მიერ ყრილობაზე წაკითხვის შემდეგ გაეგზავნა სამაზრო ად. კომისარიატში.

ვანო მაისურაძე.

## ცნობები

### ჯარისკაცების შესახებ.

ჯარის-კაცი მალაქია ძაძამია მსახურებდა კავკასიის მომქმედ ჯარში ეკატერინ. პოლკში, მეხუთე როტაში—როგორც ამხანაგ ნიჟარაძის მიერ მოწოდებული ცნობებიდან სჩანს, მალაქია ძაძამია ავათმყოფობის გამო წამოსულა შინ მისი პოლკიდან, მაგრამ სახლში არ მოსულა. რა დაემართა არ ვიცით. შესაძლებელია ვინმემ რამე იცით, გთხოვთ გვაცნობოთ დაბა—ხონში მოვაჭრე ვანო ხუჭუას სავაჭროში ირაკლი ძაძამიას.


ექიმი გ. ა. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავათმყოფებს საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. ხვანჯგილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე
ტფილისის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორი ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, [illegible] ქუჩა, № 12.

ექიმი
გ. დონხინი
ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის ექიმთან).

ექიმი კ. ი. ბვარჯანაძე
ქალთა და ბავშვთა სნეულებებისა
ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქვენიძეების ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible]. ტელეფ. 15—00.

ექიმი
ანტიოხი
შინაგანი ავათმყოფობანი და ავათმყოფობანი ყურისა, ყელისა, ცხვირისა და თვალისა.
მიიღება ყოველ-დღე გარდა უქმეებისა, დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
შაბათობით უფასოთ, ბებუთოვის ქ. 26.

ექიმი
დ. ი. ჟორდანია
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ-ნაკლულობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე
ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი და ელექტრიზაცია. [illegible] ქუჩა, № 4


[illegible] № 1.